საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 120 (2036) | ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 1995 წელი | ფასი 200 000 კუპონი.

ერთიანი ქართული სახელმწიფო 1000 წლისაა

ქუთაისი დიდი დღესასწაულის მოლოდინში

რამდენიმე დღეც და ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თავის ისტორიულ დღესასწაულს — ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად ქუთაისის აღზევების 1000 წლისთავის იუბილეს, რომელიც აღინიშნება იუნესკოს ეგიდით.

განახლებული და იერშეცვლილი ხვდება ამ უმნიშვნელოვანეს საიუბილეო თარიღს სავარდო და ხამაიო ქუთაისი. იუბილეს ღირსეულად აღსანიშნავად სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები განახორციელა ქუთაისის მერიამ. საიუბილეო დღეები გაიხსნება 21 სექტემბერს — „გელათობას" და დასრულდება 27 სექტემბერს ჯვართამაღლების დღეს.

საიუბილეო კვირეულის ამაღლებული პროლოგი იქნება ქართველთა სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნა მისივე სახელობის მოედანზე (ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და არქიტექტორი ვახტანგ დავითაია).

საქართველოში პირველად აღიმართება ჩვენი დიდი წინაპრის ძეგლი. ამავე დღეს ოფიციალურად გაიხსნება გელათის აკადემია, საუნივერსიტეტო კომპლექსი, რეკონსტრუირებული თეთრი ხიდი, ჯაჭვის ხიდი, ხათნობის სახლი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სახლი, ფოლკლორის სასახლე, საერთაშორისო საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, ახალი შენობა გადაეცემა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, დაფუძნდება გერმანულ-ქართული და ქართულ-ებრაული კულტურის ცენტრები. დაგეგმილია საზეიმოდ გაიხსნას ქალაქის ახალი სატრანსპორტო მაგისტრალი — დავით აღმაშენებლის პროსპექტი. საიუბილეო დღეებში ქალაქში გაიხსნება 200-მდე სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი.

მოეწყობა იმერეთის რეგიონის სავაჭრო პალატისა და ტელეკომპანიების „რიონისა" და „ივერიონის" პრეზენტაცია.

გათვალისწინებულია იუბილეს სტუმართა მონაწილეობით გაიმართოს სამეცნიერო კონფერენციები, შეხვედრები ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

საიუბილეოდ ქალაქში უკვე მიმდინარეობს მხატვართა საერთაშორისო პლენერი, რომელშიც მსოფლიოს 18 სახელმწიფოს 30 გამოჩენილი მხატვარი მონაწილეობს. იუბილეს დღეებში გაიხსნება საოპერო მუსიკისა და ტელეკინოფესტივალები ამ ჟანრის საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით. ელოდებიან მაყვალა ქასრაშვილის, ელენე ობრაზცოვასა და სხვათა ჩამოსვლას.

გაიმართება ცოდნის დღესასწაული, ქართული ეროვნული სპორტის ზეიმი.

ამ დღეების ღირსსახსოვარ მოვლენად იქცევა აკაკი წერეთლის იუბილე, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის საიუბილეო საღამო, დავით კლდიაშვილის ბიუსტის გახსნა, ბაგრატის ტაძრის კომპლექსის, კულტურის ცენტრის, ახალგაზრდული ცენტრის გახსნა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

მიუხედავად სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებისა იუბილეს ხარჯების ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ, ქალაქისა და რესპუბლიკის მოსახლეობა აქტიურად ჩაება ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის მუშაობაში, რაც გამოიხატება მათ მიერ ქველმოქმედებით შემოწირული თანხებით თანადგომაში. სიმბოლური და მრავლისმეტყველი ფაქტია ის, რომ უკვდავი დავით აღმაშენებლის ძეგლი მისივე სახელობის მოედანზე სწორედ ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს მოსახლეობის მიერ არის დადგმული და არა ცალკეულ პიროვნებათა და ეკონომიკურად ძლიერთა წყალობით.

17-18 სექტემბერს გათვალისწინებულია იუბილესთან დაკავშირებით მოეწყოს რესპუბლიკური სატელევიზიო მარათონი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები, ხელოვნების, კულტურის დამსახურებული მუშაკები, სრულიად საქართველოს მოსახლეობა.

საიუბილეო ქუთაისს ეწვევიან საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის, იტალიიდან ბაგრატოვანთა სამეფო გვარის წარმომადგენლები, იუნესკოს, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ირანის, საფრანგეთის, გერმანიის, უკრაინის, ჩინეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ისრაელის, სომხეთის, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები.

26 სექტემბერი სათნოების დღედ გამოცხადდება. ამ დღეს ყველა გამოხატავს თავის დამოკიდებულებას გაჭირვებული ადამიანებისადმი, აფხაზეთიდან დევნილებისადმი, ომისა და შრომის ვეტერანებისადმი, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეებისა და დაღუპულთა ოჯახის წევრებისადმი.

თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი ნახავენ სპექტაკლებს „დავით აღმაშენებელი" ქუთაისელთა დადგმით და „ერეკლე მეორეს" თელაველთა დადგმით.

საიუბილეო ღონისძიებებს დააგვირგვინებს გალა-კონცერტი ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრში, ლიტერატურული პრემიების გადაცემა, საღამო ფოლკლორის სასახლეში და ახალგაზრდული ზეიმი ქალაქ-მუზეუმში.

საქინფორმი

„არჩევნების დროულად ჩატარება, სტაბილურობისა და სოციალური პასუხისმგებლობის ვითარებაში"

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ სააგენტო „ინტერფაქსს".

— საარჩევნო კამპანია საქართველოში რთულ პირობებში იწყება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ თქვენს წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტს, რომელიც, როგორც თქვენი ქვეყნის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ამტკიცებს, მიზნად ისახავდა სახელმწიფო გადატრიალებას. თუ არიან ძალები, რომლებსაც მაინც ძალა შესწევთ ჩაშალონ მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ან ეს პროცედურები წარმართონ დემოკრატიული რეფორმებისათვის არასასურველი კალაპოტით?

— მზადა ვარ დაგეთანხმოთ, რომ დღეს ჯერ კიდევ არც თუ უბრალო ვითარებაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. 29 აგვისტოს ბნელმა ძალებმა, პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა და კრიმინალურმა დაჯგუფებებმა, ძალაუფლებას რომ ეპოტინებიან, სცადეს შლაგბაუმით ჩაეკეტათ გზა სტაბილიზაციისათვის, რომელიც მათ ხელს არ აძლევთ, და დაეწყოთ სახელმწიფოს მათი ტრადიციების მიხედვით შექმნის ახალი პროცესები.

თუ მკითხავთ, სახელდობრ რომელი ტრადიციებისა, აქ შეიძლება იყოს სხვადასხვა სპექტრი: ქურდული ტრადიციებით დაწყებული, ე. ი. ისეთი სახელმწიფოსი, რომელსაც, როგორც ვიღაც-ვიღაცეებს ძალიან სურთ, კრიმინალური ავტორიტარიზმი დაედებოდა საფუძვლად, და ბოლშევიკური ფუნდამენტალიზმით დამთავრებული. მაგრამ, მათი მატარებელი წავიდა, რადგან ამ ძალებმა უკვე ამხილეს თავიანთი თავი, როგორც ანტისაზოგადოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი ჩანაფიქრების მატარებლებმა. დანარჩენს ხალხი გააკეთებს. მისი არჩევანი გადამწყვეტი იქნება და, ვფიქრობ სწორი იქნება.

რა თქმა უნდა, იმ ძალებს, რომლებიც შეეცდებიან წყლის ამღვრევას არჩევნებისათვის მზადების პერიოდში, კიდევ შეუძლიათ გააქტიურება. მაგრამ მათი გავლენა იმდენად მცირეა, მათ ისე გაიტეხეს სახელი, რომ მწამს, ვერც ერთი საღად მოაზროვნე კაცი ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა სინდისით უნდა ჩაერთონ ისინი კონკურსში სახელმწიფოს მართვის უფლებაზე. ეს შეეხება ნაციონალ-პატრიოტებსაც, რომლებმაც თავიანთი მჩქეფარე „მოღვაწეობით" საძირკვლამდე დაანგრიეს ქვეყანა, პოლიტიზირებულ კრიმინალურ ჯგუფებსაც, რომლებიც ისე ძარცვავდნენ ქვეყანას, მრავალრიცხოვან დამპყრობთაგან არც ერთს რომ არ უქნია, ყველა ჯურის ბოლშევიკებსაც — ლენინელებს, სტალინელებს, და სხვებს, რომლებმაც, როგორც ახალი ანეკდოტი ამბობს, წამოისროლეს ლოზუნგი — „უკან, კომუნიზმისაკენ!". დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნები ღირსეულად ჩატარდება, სტაბილურობისა და სოციალური პასუხისმგებლობის ვითარებაში.

— ვინ შეიძლება გახდეს თქვენი სერიოზული კონკურენტი „საპრეზიდენტო მარათონში"?

— მე მივესალმები ყველას, ვინც დამსახურებულად სარგებლობს ხალხის, ჩვენი მოქალაქეების პატივისცემით, რომელთაც მიაჩნიათ, და სჯერათ, რომ დემოკრატიულ პროცესებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეს ალტერნატივა. სხვანაირად საქართველოს ახალი ქაოსი, ანარქია და დაღუპვა ელის. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ეს, საბედნიეროდ, არ მოხდება. ჩვენ არ დავუშვებთ.

— და, მაინც, აფხაზეთის პრობლემა ჯერ კიდევ რჩება დაბრკოლებად სახელმწიფოსა და ქვეყნის გაერთიანების გზაზე. ის შესაძლებლობას არ აძლევს საზოგადოებას საჭირო გაქანებით განახორციელოს პოზიტიური ძვრები, აფერხებს ლტოლვილთა დაბრუნებას, რაც, გასაგებია, ნერვულ ატმოსფეროს ქმნის ქვეყანაში. რა მდგომარეობაშია მოწესრიგების პროცესი?

— ეს არის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ხელს არ გვაძლევს და სხვაგვარად არც შეიძლება. აფხაზურმა მხარემ კიდევ ერთხელ ჩაშალა მოლაპარაკება მოსკოვში და თავისი უპასუხისმგებლო ქცევით დაასამარა კიდევ ერთი კარგი შანსი. მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ ეს, უკვე არ ვიცი, მერამდენედ ხდება. ეს უკვე ქცევის „სტილი" კი არ არის, არამედ გამოწვევაა როგორც ჩვენი, ისე რუსეთისა, მოლაპარაკებებში შუამავლისა და, აგრეთვე, საერთაშორისო საზოგადოებრიობისაც. ეს უკვე პირდაპირ აბუჩად აგდების ზღვარზე დგას. სეპარატისტები ცდილობენ დროის გაყვანის ტაქტიკა გამოიყენონ, რათა დაელოდონ არჩევნებს რუსეთში. ვინ იცის, რა მოხდება, იქნებ ხელისუფლებაში სწორედ ის ხალხი მოვიდეს, რომლებზედაც იმედს ამყარებენ სოხუმში. კატეგორიულად ვაფრთხილებ, რომ აქედან არაფერი გამოვა. უნდა შევახსენო, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბორის პასტუხოვის განცხადებაში აფხაზეთის პრობლემის შესახებ რუსეთის პოზიცია არ შეიძლება ორაზროვნად გავიგოთ. მან ცალსახად განაცხადა, რომ ლტოლვილების დაბრუნების პროცესი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, თუ არა და, რუსეთი მიიღებს ზომებს, რომლებიც მას პასუხისმგებლობისაგან გაანთავისუფლებს. სამშვიდობო ძალებს აფხაზეთში ყოფნის ვადა ამ წლის დამლევს გასდის და თუ სეპარატისტებთან მოლაპარაკება სასურველ შედეგს არ გამოიღებს, ჩვენ არჩევანი აღარ დაგვრჩება. მე კვლავინდებურად მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრედ ვრჩები, მაგრამ ყველაფერს აქვს არა მარტო დასაწყისი, არამედ დასასრულიც.

ამას დავუმატებ, რომ უზბეკეთში ჩემი ოფიციალური ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა კატეგორიულად დაგმო ნებისმიერი ფორმის სეპარატიზმი და დაადასტურა, რომ დსთ-ს ქვეყნები მოვალენი არიან არა მარტო გააძლიერონ ბრძოლა სეპარატისტულ გამოვლინებებთან, მათ შორის ისეთ დანაშაულებრივთან, როგორც აფხაზური სეპარატიზმია, არამედ გამოიჩინონ გამბედაობა და ერთხელ და სამუდამოდ დაუსვან წერტილი ამ საქმეს. როგორც ტაშკენტში აღინიშნა, სეპარატიზმი და ექსტრემიზმი უაღრესად აფერხებს საქმიან თანამშრომლობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დაახლოებასა და განვითარებას დემოკრატიული აღმშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვან, უაღრესად პასუხსაგებ ეტაპზე. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს, ამგვარად, საერთო პრობლემაა და არა ცალკე აღებული ქვეყნისა. სეპარატიზმი საბოლოოდ უნდა დაიგმოს და მას საყოველთაო პოლიტიკური ოსტრაკიზმი გამოეცხადოს, მისი საერთაშორისო იზოლაციის საჭიროება კი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ ყველამ ჩვენი ხალხების, ქვეყნების და სახელმწიფოების არსებობის პერსპექტივები.

ინტერვიუს უძღვებოდა
ნოდარ ბროლაძე.

მერვე სვეტი

დაასახელეს სახელმწიფოს მეთაურის კანდიდატურა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აფხაზეთი ჩემი სახლია" წარმომადგენელთა კრებაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, მსოფლიო სახელის მქონე პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე დაასახელონ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად და სთხოვონ მას კენჭი იყაროს არჩევნებში.

გაუქმდა დროებითი შეზღუდვები

რუსეთის ფედერაციის თბილისის საელჩოს პრესსამსახურმა გაავრცელა შემდეგი ცნობა:

რუსეთის ფედერაციის მთავრობამ მიიღო 1995 წლის 26 აგვისტოს № 840 დადგენილება, რომელიც ნაწილობრივ ცვლის მთავრობის 1994 წლის 10 დეკემბრის № 1894 დადგენილებას „აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან და საქართველოს რესპუბლიკასთან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროებით შეზღუდვის ღონისძიებათა შესახებ" და ნებას აძლევს რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროს გახსნას სატვირთო მიმოსვლა რუსეთის ფედერაციის ტუაფსეს ნავსადგურსა და საქართველოს რესპუბლიკის ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებს შორის.

რუსეთის ფედერაციის ფედერალურ სასაზღვრო სამსახურს, სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს, ტრანსპორტის სამინისტროს დაევალა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამოქმედებით განახორციელოს სათანადო სასაზღვრო, საბაჟო და სხვა სახეობათა კონტროლი ტუაფსეს ნავსადგურში.

იარაღის არსენალი... არხში

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცნობეს, რომ 10 სექტემბერს იმერეთის მხარის ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა სამტრედიის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებთან ერთად ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე სოფელ იანეთის მეცხრე უბნის დასახლების უკან, კოპიტნარის ტერიტორიაზე გამავალი არხიდან ამოიღეს: 360 ცალი ზონარიანი ცეცხლგამჩენი კაფსული, 4000 ელექტროდეტონატორი კაფსულით, 800 მსხვილკალიბრიანი საბრძოლო ვაზნა, 6400 ავტომატ „აკ" საბრძოლო ვაზნა, 632 საზენიტო დანადგარის საბრძოლო ვაზნა, 17 აკუმულატორი — ნაღმი „კზ-6" და „კზ-7", 5 მიმართულებითი მოქმედების ნაღმი, 7 ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმი კაფსულით, 54 ყუმბარმტყორცნის ჭურვი, 20 ხელყუმბარა „ფ-1", 900 მეტრი დეტონატორის ზონარი, 3800 კაფსულ-დეტონატორი, 12 — ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა კაფსულით, 133 ტროტილის „შაშკა", 6 მიმართულებითი მოქმედების 4 კილოგრამიანი ნაღმი, 23 ცალი ერთკილოგრამიანი ნაღმი „ხზ" და ერთი თუთიის ყუთი ტყვიამფრქვევის საბრძოლო ვაზნები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო მოკვლევა.

პოზიცია

ქალთა დაცვის კავშირი მხარს გიჭერთ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ედუარდ შევარდნაძეს

ჩინეთში ქალთა საერთაშორისო ფორუმზე ყოფნისას შევიტყვე 29 აგვისტოს თბილისში მომხდარი შემაზრზენი, ვერაგული ტერორისტული აქტის შესახებ. მომხდარმა შემაძრწუნა არა მარტო მე, რომელმაც ტერორისტული აქტის სისაძაგლე თავადაც გამოვცადე 1994 წლის 26 სექტემბერს, არამედ იქ მყოფი მსოფლიოს ყველა კონტინენტის მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები. მათ თბილისში თქვენს წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი აღიქვეს, როგორც ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული დარტყმა, რის გამოც გამოთქვეს დიდი გულისტკივილი და შეშფოთება.

პოლიტიკურ გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირს", რომელიც ეძიებს რეზერვებს ჩვენი სამშობლოს განვითარებისა და წინსვლისათვის, მიაჩნია, რომ ამ ძიების გზაზე ძირითადია თქვენი დიდი სიბრძნე, გონიერება, გამოცდილება, მაღალი პროფესიონალიზმი, გამბედაობა, დემოკრატიული პრინციპებისადმი მისაბაძი ერთგულება. ნება მიბოძეთ, გადმოგცეთ პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირის" სათათბიროს გადაწყვეტილება, რომ ვგმობთ 29 აგვისტოს მომხდარ ტერორისტულ აქტს და მხარს ვუჭერთ თქვენს კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე.

პატივისცემით
ნარგიზი გვალია,
„ქალთა დაცვის კავშირის" თავმჯდომარე.

სადაზღვევო კორპორაციის სპეციალისტთა ჯგუფი დახმარებას გვპირდება

11 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სადაზღვევო კორპორაცია „ევროპულ სპეციალისტთა ჯგუფი".

„ევროპულ სპეციალისტთა ჯგუფმა" გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს საქართველოში სადაზღვევო ბაზრის მშენებლობაში. „ჩვენ გადავწყვიტეთ დახმარება გავუწიოთ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური კადრები, რათა სადაზღვევო საქმიანობამ ფართო გასაქანი ჰპოვოს თქვენს ქვეყანაში", — განაცხადეს სტუმრებმა.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა მოახსენა სტუმრებს საქართველოს მიმართ გამოჩენილი ინტერესისათვის და კორპორაციის წარმომადგენლებს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა.

ახლახან

21-ე საუკუნის პარლამენტი

9-10 სექტემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის დამფუძნებელი ყრილობა.

ამ გაერთიანების ჩამოყალიბების უპირატესობა ის არის, რომ იგი არჩევითობის პრინციპზე აერთიანებს ახალგაზრდა ლიდერებს პიროვნული ნიშნით — როგორც პოლიტიკური ორგანიზაციებიდან, ისე უპარტიო ახალგაზრდობიდან.

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის წევრები გამოავლინა არჩევნებმა, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაიმართა და პრაქტიკულად სრულიად საქართველო მოიცვა.

დელეგატებმა მიიღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მილოცვა, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ახალგაზრდული პარლამენტის სახით იგი 21-ე საუკუნის პარლამენტს ხედავს.

ყრილობამ განიხილა და მიიღო წესდება.

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ფიქრია ჩიხრაძე, პარლამენტის სპიკერად — გიორგი მაისურაძე.

ნომრის სტუმარი

ჩვენ დავით აღმაშენებელ-გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკური ტანდემის ფორმირების პრინციპი უფრო შეგვესაბამება

ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ნოდარ ჩიტანავა ის პიროვნებაა, რომელსაც განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება საზოგადოებრიობისთვის. და მაინც: წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სოფლის მეურნეობის მინისტრი... დღეს არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, ამავე დროს — პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს მომავლის" ლიდერი. ამ მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე ჩვენს გაზეთში სულ ახლახან გამოქვეყნდა წერილები.

ბუნებრივია, ასეთ კაცთან გაზეთის ფურცლებზე შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო და ღირებულია. ვასრულებთ მკითხველების თხოვნას და გთავაზობთ საუბარს ბატონ ნოდარ ჩიტანავასთან.

— საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ 1990 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაუთმო ეროვნულ ძალებს, ქვეყნის მმართველობა ხონჩით მიართვა.

— დიახ, დღეს ბევრი აცხადებს, 1990 წელს ხელისუფლებამ ეროვნულ მოძრაობას დაუთმოო. მიკვირს, რატომ ისმება ეს კითხვა. რა, პოსტებისთვის სისხლი დაგვეღვარა? რომელი თანამდებობა ღირს იმად, რომ თუნდაც ერთი თანამემამულის სისხლი დაიღვაროს? დრო გავა, ყველაფერი მისხალ-მისხალ აიწონება და საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების უკანასკნელი თაობის პოზიცია, მისი ეროვნულობა, საკაცობრიო იდეალებისადმი ერთგულება, ქვეყნისათვის რეალური ზრუნვა, ბევრჯერ სისხლისღვრის თავიდან აცილება, ეკონომიკური გარდაქმნების მიმართ სწორი დამოკიდებულება (საბაზრო ეკონომიკაზე ევოლუციური გადასვლა), შიდა ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობის წყაროების მიმართ სწორი, პერსპექტივის გათვალისწინებით მიდგომა, — ყოველივე ეს ჯეროვნად შეფასდება, როგორც ახალ თვისებრიობაში ქვეყნის შესვლის ობიექტური, ევოლუციური გზის წანამძღვრების მომზადებისათვის ხელის შეწყობა.

— რატომ ვერ შეინარჩუნეთ კომუნისტებმა ხელისუფლება?

— ამ რთულ კითხვას სწორი, მრავალმხრივი პასუხი რომ გავცე, ვფიქრობ, ეს თემა ცალკე უნდა განვიხილოთ. ახლა მხოლოდ კომენტარებით დავკმაყოფილდები. ჯერ ერთი, საქართველო არსებული რეჟიმის შეცვლით არ დამარცხებულა. მას განვითარების მეტად ხელსაყრელი (თუ სწორად გამოვიყენებდით) წანამძღვრები შეექმნა. ტრაგედია ის არის, რომ ბოძებული შესაძლებლობანი სულ სხვა დანიშნულებით გამოვიყენეთ. ეს საერთოდ, კონკრეტულად კი: საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არსებულ საბჭოთა ხელისუფლებას მხარი არ დაუჭირა, იგი უფრო მიმზიდველ ლოზუნგებს აჰყვა, საღად ვერ შეაფასა ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ქვეყნის განვითარების წინასაარჩევნო პლატფორმაც და არსებულისა და შეპირებული „სამოთხის" გაგების გადაკვეთაზე მდგარმა „ბედნიერ მომავალს" დაუჭირა მხარი. დაბნეულობა გამოიწვია მ. გორბაჩოვის ამოუცნობმა არათანამიმდევრულმა პოზიციამ და „სტრატეგიამ". ამასთან, ხელისუფლებაში, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მოუმზადებელი კადრები, პოლიტიკური ძალები მოვიდნენ. დრო ითხოვდა სიბრძნეს, მოქნილ პოლიტიკას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ირგვლივ ხალხის ერთსულოვნების აღმშენებლობით ფაქტორად გარდაქმნას, პოლიტიკაში პატიოსნებას, ქვეყანაში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ვითარების შექმნას. ეს კი არ მოხდა. საბჭოთა ნომენკლატურის სახელგატეხილი ადამიანები, აქვე ქუჩური პოლიტიკის ინიციატორები მიეტმასნენ ახალ ხელისუფლებას და ქრთამით, დატაცებით შეძენილი ქონებს ლეგალიზაცია მოინდომეს. ამ მიზნით მათ ახალი, გამოუცდელი ხელისუფლება ყოველმხრივ აძლევდათ ხელს. ასეთი განწყობით შედგენილი სცენარით განვითარდა პროცესებიც.

ამასთან, ხელისუფლებამ უხეში შეცდომები დაუშვა. ქვეყნის მოსახლეობა რამდენიმე ბანაკად დაიყო. მოსალოდნელი შედეგები არ დაყოვნდა: პუტჩი, სამოქალაქო ომი, ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვა, დაბეჩავებული მოსახლეობა.

დღევანდელი ცხოვრების ერთი საინტერესო წახნაგიც: 1989-1990 წლებში მაშინდელი ხელისუფლების მიმართ ერთ ძალად შეკრული ოპოზიცია იყო ის, ვინც პარლამენტში დღეს უმრავლესობას და უმცირესობას ერთად წარმოადგენს (ერთეული გამონაკლისის გარდა), კომუნისტური ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ის გახლდათ, რომ იგი მარტივად, გულუბრყვილოდ, პატიოსნად, გულწრფელად ეროვნული პოზიციებიდან შეეცადა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ურთულესი პროცესების გავლენით საქართველოში შექმნილი სიტუაცია სწორი გზით წარემართა და დემოკრატიულ გარდაქმნებს მწვანე გზა მისცა. ეს ნაადრევი აღმოჩნდა, საზოგადოება თურმე ამისათვის მზად არ იყო.

— თქვენ 1990 წლის ნოემბერში ქალაქიდან სოფელში წახვედით და არაპრესტიჟულ ფიზიკურ შრომას მოკიდეთ ხელი. ეს ძალიან ბევრს გაუკვირდა. გთხოვთ, გულწრფელად გვითხრათ, ეს პოლიტიკური ფანდი იყო?

— არც ერთი ჩემი პოზიციის გამოხატვისას არაგულწრფელი არ ვყოფილვარ. ეს გარკვეულად არაორდინარული ნაბიჯი (მხოლოდ ჩვენი მენტალიტეტის გამო) სრული შეგნებით გადავდგი. არავის ურჩევია, არც უგრძნობინებია ჩემთვის, რომ დედაქალაქიდან წასვლა საჭირო

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მაღაზია
Polaroid
გთავაზობთ:
☐ კასეტებს ფოტოაპარატისათვის 636 plus — 10$
☐ ფოტოსაქონელს ფართო ასორტიმენტში
საბითუმო პარტიები — ფასდაკლებით.
20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე თითოეულ კასეტას ფირმისგან საჩუქრად მოჰყვება უფასო ფოტოალბომი
მისამართი: რუსთაველის გამზირი 28
(ოპერის პირდაპირ).
☎ 99-80-74

ჩვენ დავით აღმაშენებელ-გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკური ტანდემის ფორმირების პრინციპი უფრო შეგვესაბამება

(დასასრული)

იყო, მაშ რა მაიძულებდა? აქ რამდენიმე არგუმენტი უნდა მოვიტანო. მე დიდხანს ვმუშაობდი საკარმიდამო (კომლური) მეურნეობის სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების როლზე ქვეყნის ცხოვრებაში. მიმაჩნდა (დღესაც მიმაჩნია), რომ საკარმიდამო (კომლური) მეურნეობა ქართული სოციალურ-ეკონომიკური ფენომენია. იგი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ძირეული უჯრედია (ადრე ამას ასეთ როლს არ ვკუთვნებდით). საჭიროდ ჩავთვალე მისი განვითარების ახალი შესაძლებლობანი ქვეყნის ახალი ხელსაყრელი პირობების შესაბამისად პრაქტიკულად შემესწავლა, განმეზოგადებინა. კარგად ვიცოდი და საჯაროდაც ვაცხადებდი, რომ ეკონომიკაში დიდი გამოცდა გველოდა (ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემს განცხადებებს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია). ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ნაბიჯი სწორი აღმოჩნდა. ვინც „მიწასთან ურთიერთობაში" გაეცნობა ჩემს საქმიანობას, თანაგრძნობით და მოწონებით შეაფასებს მას. ბევრმა გადაიღო ახალი „მოდელი". გარდა ამისა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმებისას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმის მაგალითს, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი პირის ყოფილი მდგომარეობა და კონკრეტულ სიტუაციაში რიგით სამუშაოზე ყოფნა ერთმანეთის თავსებადია. ესაა გარდაქმნების, დემოკრატიის ძალა. ზოგიერთი ჩემი ოპონენტი ამის გამოც მაკრიტიკებდა (ზოგიერთი დღესაც მქირდავს), რატომ მაინც და მაინც მან შექმნა ასეთი მაგალითიო. რა ვქნა, ვისაც ვიცნობ, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამას არ იზამდა, არ იზამს (ამას გვიან მივხვდი). ეს მაინც ნუ შეშურდებათ! მე შეიარაღებულ ფორმირებებს ვერ შევქმნიდი, მექრთამეებთან, ავანტიურისტებთან, კარიერისტებთან ვერ ვიმეგობრებდი. ზნეობის იმ პრინციპის ერთგულება, რითაც ქვეყანას რაც შემეძლო ვემსახურე, ჩემგან ლოგიკურად მოითხოვდა სწორედ იმ ნაბიჯს, რომელიც გადავდგი. საზოგადოება საბოლოოდ პატივს სცემს არა იმ ადამიანს, რომელიც მაღალ სავარძელში იჩენს „კაცობას", არამედ მას, რომელსაც არც ერთ სიტუაციაში (არც ერთ სკამზე) არ ეთაკილება იშრომოს, პატიოსნად აღასრულოს მოქალაქეობრივი ვალი, ცდილობს ყველგან კაცად დარჩეს.

მეცნიერებასთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია. პირიქით, მეცნიერება ყოველთვის მეხმარებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა საშუალებას მაძლევდა თვით თეორიის, პოლიტიკის, მისი ამა თუ იმ პრინციპის ავკარგიანობა სწორად განმესაზღვრა და პრაქტიკის, ფაქტების, მოვლენების, პროცესების ანალიზით რეალური დასკვნები გამეკეთებინა. ჩემს ცხოვრებაში ბედნიერი დამთხვევა დაფიქსირდა: პრაქტიკისა და თეორიის შერწყმის აუცილებლობა. აი, ასეთი გამოცდილებით შევუდექი „რომანტიკული ამოცანის" განხორციელებას: ცხოვრება თავიდან დამეწყო (კარგი გამოცდილება მქონდა: საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში ვმუშაობდი). ამასთან საჭირო იყო მაღალი რანგის ხელმძღვანელის ზოგიერთი კომპლექსისაგან განთავისუფლება (თუმცა ეს, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ძალიან არ მაწუხებდა).

გადავწყვიტე ცხოვრება ისევ ქვევიდან, ამჯერად სულ სხვა პოზიციიდან, მომავლის გადასახედიდან მენახა. საზოგადოებაში მაღალ მდგომარეობას შეჩვეულისათვის ეს მეტად ძნელი საქმეა. ამისათვის საკმარისი არ არის „ტაქტიკოსი" იყო. მოგეხსენებათ, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, ე. წ. გარემოცვა მონაწილეობს. ჩემს შემთხვევაში ეს არ ყოფილა. გადაწყვეტილება, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხოლოდ მე მივიღე. მას თანაუგრძნო 87 წლის მამაჩემმა. მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან წასვლის მესამე დღეს, 1990 წლის 18 ნოემბერს, როცა სოფელში სამუშაოდ ჩავედი, იგი ცოცხალ-მკვდარი დამხვდა. წინაღამეს მძინარეს ყაჩაღები დასხმიან თავს, სანადირო თოფი და სხვა ინვენტარი წაურთმევიათ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებიათ (რის შედეგადაც იგი მალე გარდაიცვალა). რა თქმა უნდა, ამ ინციდენტმა უფრო გააძლიერა ჩემი გადაწყვეტილება, იქ დავრჩენილიყავი. ვაღიარებ, ყველაზე დიდ ტკივილად ეს ეპიზოდი დარჩება. ყაჩაღები დღესაც არ არიან მხილებული.

სოფელში მუშაობით, ადამიანების ფსიქოლოგიის, ზნეობრიობის პრინციპების შესწავლა-ანალიზით (როცა ბევრი, ზოგიერთი ახლობლის გარდა, ზედ არ შეგხედავს მიწაზე მომუშავე, ადრე „სამაყო" ნათესავს, მეგობარს, ამხანაგს, არ „შეგაწუხებს"). კარგად გავიგე (უკვე მერამდენედ), რომ ქვეყანა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ყალბად გაგებული თავისუფლებისა და დემოკრატიის მძევალი იყო.

ერთი წლის შემდეგ შემოთავაზებულ წინადადებაზე დიდი ყოყმანის, განსჯის შემდეგ დავთანხმდი და, უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით, 1991 წლის ნოემბერში დამამტკიცეს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად. მალე სამხედრო გადატრიალება (პუტჩი) მოხდა. შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომლის წევრად, როგორც უჩემოდ გადაუწყვეტიათ, კომპეტენტურობის, გამოცდილებისა და საზოგადოებაში ავტორიტეტის გათვალისწინებით თურმე პირობით, მომავალ არჩევნებამდე, დამტოვეს. თხოვნით მივმართე დროებითი მთავრობის ხელმძღვანელს მინისტრის პოსტიდან გავენთავისუფლებინე, არგუმენტიც მოვახსენე — მთავრობის მიმართ უნდობლობა. ჩემი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. მუშაობა გავაგრძელე, სამინისტროს გამოცდილ აპარატის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აქტიური ძალისხმევით, მომზადდა აგრარული რეფორმების დაჩქარების კონსტრუქციული წინადადებები, რეკომენდაციები.

აგრარული რეფორმის კონცეფცია (ვრცელი დოკუმენტის სახით) 1992 წლის გაზაფხულზე წარვუდგინეთ სახელმწიფოს საბჭოს და მინისტრთა კაბინეტს. ამ უკანასკნელის რეაქციას დოკუმენტის სერიოზული განხილვა არ მოჰყოლია. რაც შეეხება სახელმწიფოს საბჭოს, მის ხელმძღვანელს, დოკუმენტი არ მიუღია, მაშინდელ აპარატში მომუშავე „ეროვნულ პოზიციებზე" მდგომ მუშაკთა მოხერხებულობით. არჩევნების შემდეგ, ნოემბერში მთავრობის დაკომპლექტების შესახებ პარლამენტის სხდომის ტრანსლაციისას, პირველად გავიგე, რომ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროები გაუერთიანებიათ და მინისტრიც დანიშნულია. რა თქმა უნდა, ჩემი თხოვნა მინისტრობიდან გათავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდა. მაგრამ ამ „მეთოდს", როგორც გაირკვა, თან ახლდა ცინიზმის განსაკუთრებული ფორმა. გამარჯვებულთა ბანაკის გარემოცვა პოლიტიკური კონიუნქტურის უზნეო პრინციპებით, ე. წ. არასასურველი ადამიანებისაგან თავისუფლდება მოწინააღმდეგეთა ბანაკში მათი „ჩარიცხვით". არავის ბანაკში არ ვყოფილვარ. დამოუკიდებელი ვიყავი მოქმედებისას. საკუთარი „წარმატებისა" თუ წარუმატებლობის ავტორი მხოლოდ მე ვარ, არავის „კაცი" არ ვყოფილვარ, არც ვიქნები. კაცობა ყველაზე დიდ თანამდებობად მიმაჩნდა და მიმაჩნია. საქართველოს, ალბათ, კაცები გადაარჩენენ.

ნახევარი წელიწადი არ ვმუშაობდი. ისევ მიწას დავუბრუნდი. გარდაბნის რაიონში 1500 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი გამომიყვეს, თუმცა ვითხოვე იჯარით რამდენიმე ჰექტარი მოეცათ (ეს რატომღაც არ მოხერხდა). მიწაზე მუშაობას ვაგრძელებ. ეს ჩემი ჰობია, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ასევე მეცნიერებაში არც ისე უბრალო პრობლემას ვეჭიდები: როგორი უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი. ჩემი პოზიციები გამოვხატე ორ მონოგრაფიაში „საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები" (1993 წ.), „საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები)", რომელიც ახლა გამოვიდა. რამდენად სწორი ვარ, რამდენად მეცნიერულია ეს ნაშრომები, ამას დრო უჩვენებს, მომავალი შეაფასებს. ასე რომ, მარტო პოლიტიკური „ხელწერით" არ წარმართულა ჩემი ცხოვრება.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ რაღაცას იტოვებთ, ბოლომდე ვერ ამბობთ, ეს შეგნებულად კეთდება თუ გარკვეულ პოლიტიკურ „ხაზს" ემსახურება?

— რა თქმა უნდა, სათქმელი ბევრია, მაგრამ ერთბაშად, — არა. უკანასკნელი წლების კატაკლიზმებმა დროებით დაფარა სიმართლის წყაროები, თუმცა ისინი არ დამშრალა. მწარე სიმართლის თქმის დროც დადგება.

ზოგიერთს ისიც აინტერესებს, პოლიტიკიდან წასული, დიდი ხნის მანძილზე ჩრდილში მყოფი კაცი ისევ რატომ გამოდის ასპარეზზეო.

პოლიტიკოსობა მარტო მმართველობით იერარქიაში შემთხვევით მოპოვებული მდგომარეობით არ განისაზღვრება. პოლიტიკა ინტეგრირებული მეცნიერებაა. თუ რთული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური პრობლემების მიმართ აქტიურად გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას, ეს სრულებით არ ნიშნავს, იმას, რომ დიდ პოლიტიკაში საკუთარ ადგილს ვეძებ.

ქვეყნის დღევანდელი სინამდვილის თეორიული ანალიზითა და საკუთარი მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ იდეებს, კონკრეტულ პრინციპებს, რომლებსაც სწორად, ქვეყნისათვის სასარგებლოდ ვთვლი, დაცვა (უკვე მერამდენედ) სჭირდება. ამაში ვხედავ ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობას. ამაშია ჩემი პოლიტიკოსობის „საიდუმლოც".

—როგორია თქვენი აზრი მომავალი არჩევნების, კონსტიტუციის შესახებ?

— უპირველეს ყოვლისა, მთელმა ქვეყანამ ერთხმად, მისმა თითოეულმა მოქალაქემ უნდა დაგმოს ის, რაც 29 აგვისტოს მოხდა, განგებამ (და არა სახელმწიფომ) ბატონ ე. შევარდნაძესთან ერთად საქართველოს მომავალიც გადაარჩინა.

მომავალი არჩევნები დიდი გამოცდა იქნება ჩვენთვის. პოლიტიზებული საქართველო ამჯერად განსაკუთრებულ იმედს მასზე ამყარებს. ჩემი აზრით, საზოგადოებრიობა არჩევნებისათვის მზად არ არის. არჩევნებიც, როგორც განსაკუთრებული დანიშნულების ღონისძიება, მოუმზადებელია. მოსახლეობამ არ იცის როგორია დღევანდელი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების რეალური სურათი, მხოლოდ გრძნობს, რომ საქმე ცუდად მიდის. ეს არ არის საკმარისი, რათა სწორად განისაზღვროს რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭიროს მხარი, რომელი პროგრამა, გზა, მიმართულებაა მისთვის, ქვეყნისათვის მისაღები. ამასთან, დღეს არ არის პოლიტიკური ძალა (პრეტენზიებს ანგარიშს ნუ გავუწევთ), რომელსაც კომპლექსურად ჰქონდეს გააზრებული ქვეყნის განვითარების სწორი სტრატეგია. დეკლარაციული განცხადებებით ახალ ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

დღეს არავინ იცის, როგორია პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, როგორია კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო ინტერესების თანაფარდობის სოციალური, ფსიქოლოგიური, ორგანიზაციული საფუძველი, რა შემადგენლები განსაზღვრავს დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, რა გზით უნდა წავიდეს ქვეყანა: „ველური კაპიტალიზმის" გზით, სოციალისტური სისტემის რეანიმაციის გზით თუ არსებობს სხვა უფრო მისაღები, ქართულ მენტალიტეტთან, ტრადიციებთან, საერთოდ ქართულ ფენომენთან უფრო ახლოს მდგომი გზა?

ამ პრობლემებზე მხოლოდ პარტიული ინტერესების გადასახედიდან, მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტული თუ შერეული პოზიციების დაფიქსირებით შემოთავაზებული შეხედულებანი ნედლია, სერიოზულ განსჯას მოითხოვს. ხუთი წლის შემდეგაც გზაჯვარედინზე აღმოვჩნდით. საქართველოს შეცდომების დაშვების უფლება არა აქვს. საჭიროა ყველა პოლიტიკური პარტიის, საზოგადოების, მოძრაობის პოზიციების შეჯერება. კონსენსუსი აუცილებელია, სხვანაირად სოციალური თანხმობის მიღწევა შეუძლებელია. მის გარეშე კი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია უსათუოდ გამოირიცხება. ხელისუფლებამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ სრული, ობიექტური ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს. ამით ამომრჩეველს სწორი არჩევანის საშუალება მიეცემა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სერიოზული გამოცდა — ზამთარი წინ არის. ნოემბერში არჩეული ხელისუფლება მთელ ცოდვებს ყოფილ ხელისუფლებას გადააბრალებს. მისი ბევრი წარმომადგენელი კი ისტორიულ პასუხისმგებლობას მშვიდობიანად გაეცლება. ჩემი აზრით, უპრიანი იყო პარლამენტის არჩევნების მომავალი წლის გაზაფხულზე ჩატარება. ამასთან, არასწორია პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების ერთდროულად ჩატარება.

კონსტიტუციის მიღება უდიდესი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ სამხარეო მოწყობის კონცეფციას. იგი როგორც იდეა, პრინციპი, პერსპექტიულია, მაგრამ — არა ამჟამად. ასევე მიუღებლად ჩავთვალეთ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრა მხოლოდ დაწყებითი განათლების მიღებისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყანა პოსტინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობის ფაზაში შედის, სადაც წარმოების უმთავრესი ფაქტორებია ცოდნა, ინფორმაცია. მხარს ვუჭერთ საპრეზიდენტო მმართველობის იმ სისტემას (3 თვის წინათ ეს „მოძრაობის" პროგრამაში ჩაიწერა), რომელიც პარლამენტმა მიიღო, მხოლოდ — ორი შესწორებით: პირველი — აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინაციის ფუნქცია (პრეზიდენტის უფლების დელეგირებით) დაეკისროს ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც პრეზიდენტთან ერთად აირჩევა. მეორე — ასეთი მოდელი ამერიკული არ არის, როგორც ამას პრესაში წერენ. ამ მოდელამდე ჩვენ იმიტომ კი არ მივედით, რომ ამერიკის მაგალითი გზას გვინათებდა, არამედ იმაში დავრწმუნდით (ქართული ფენომენის გაგებიდან გამომდინარე), რომ მომავალი საქართველოს გლობალურ ინტერესებს უფრო შესაბამება დავით აღმაშენებელ-გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკური ტანდემის ფორმირების პრინციპი, რა თქმა უნდა, განვითარების დღევანდელი დონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ესაუბრა

ლაშა დონაძე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 6

პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის საფუძველზე რეგისტრაციაში გატარდეს შემდეგი პარტიები:

1 (22) საზოგადოება „არჩევნები";
2 (23) საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგა — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია;
3 (24) მერაბ კოსტავას საზოგადოება;
4 (25) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1995 წლის 8 სექტემბერი,

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 8

პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის საფუძველზე რეგისტრაციაში გატარდეს შემდეგი პარტიები:

1 (26) საქართველოს სოციალისტური პარტია;
2 (27) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;
3 (28) საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია;
4 (29) საქართველოს თავისუფლების პარტია;
5 (30) სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1995 წლის 9 სექტემბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 11

პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის საფუძველზე რეგისტრაციაში გატარდეს შემდეგი პარტიები:

1 (31) საქართველოს მწვანეთა პარტია;
2 (32) ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1995 წლის 11 სექტემბერი.

„ჩვენი კოლექტივი სახელმწიფოს მეთაურის და პარლამენტის გვერდით დგას"

ედუარდ შევარდნაძე დაესწრო სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თათბირს

12 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური — პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე დაესწრო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელ პირთა თათბირს.

სიტყვით გამოსულმა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ავთანდილ იოსელიანმა ისაუბრა სამსახურში ამჟამად მიმდინარე პროცესების შესახებ. მან აღნიშნა, რომ იგორ გიორგაძის თანამდებობიდან გათავისუფლებას უწყებაში გაგებით მოეკიდნენ. კოლექტივი განაგრძობს მუშაობას, დაისახა კონკრეტული გეგმები, აღდგენილია ყოველკვირეული თათბირების გამართვის პრაქტიკა.

ავთანდილ იოსელიანმა ხაზი გაუსვა უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ განხორციელებულ სამუშაოთა დიდ მნიშვნელობას ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევის პროცესისათვის. მან აღნიშნა იგორ გიორგაძის ღვაწლი სამსახურის, განსაკუთრებით კი — საბრძოლო შენაერთების ჩამოყალიბების საქმეში. თუმცა, იქვე დასძინა, რომ უწყებაში დადებითი ძვრების პარალელურად მკვეთრად იკლო ოპერატიული მუშაობის ტემპმა, რისი შედეგიც გახლდათ სათანადო ინფორმაციის უქონლობა და 29 აგვისტოს მომხდარი ტერორისტული აქტი.

ავთანდილ იოსელიანმა ისაუბრა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის პრობლემებზე, მან განსაკუთრებით გამოყო ფინანსების უკმარისობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობა.

„ჩვენი კოლექტივი სახელმწიფოს მეთაურის და პარლამენტის გვერდით დგას, იგი ყველაფერს იღონებს, რათა საქართველოში მშვიდობა დამყარდეს", — განაცხადა ავთანდილ იოსელიანმა.

თავის გამოსვლაში ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა იმ სასიკეთო ძვრებზე, რომლებიც დღეს აშკარად დაეტყო ქვეყანას. სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის მიღების მნიშვნელობაზე. ამასთან დასძინა, რომ, სამწუხაროდ, მაშინ, როცა ნებისმიერი ქვეყანა ასეთ მოვლენას ზეიმით აღნიშნავს, საქართველოში კონსტიტუციაზე ხელმოწერის დღეს ტერორისტული აქტი განხორციელდა და ეს, უწინარეს ყოვლისა, კონსტიტუციურ წყობაზე თავდასხმა გახლდათ.

ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გა უსვა სახელმწიფო უშიშროებ სამსახურის კოლექტივის და სახურებას ქვეყანაში კანონიერ ების აღდგენის პროცესში; ა ნიშნა მსოფლიო სტანდარტებ დონის შესაბამისი საბრძოლ შენაერთის შექმნის მნიშვნელობ თუმცა იქვე ბრძანა, რომ ს მსახურის მიერ გაწეული მუშ ობის შეფასებისას არც 29 აგვ სტოს მომხდარი ფაქტი უნ დავივიწყოთ, რომელიც სპეცსა სახურის თვალწინ განხორციელ და. სახელმწიფოს მეთაურმა ის უბრა იმ ნაკლოვანებებზე, რომ ლებიც ამჟამად არის სახელმწ ფო უშიშროების სამსახურ მან განსაკუთრებით გამოყო რე გიონალური რგოლების არაკვა ლიფიციური მუშაობა.

დასასრულ, ედუარდ შევარდნა ძემ იმედი გამოთქვა, რომ ს ხელმწიფო უშიშროების სამსახ რის მთელი პირადი შემადგენ ლობა, რომლის უმრავლესობა გამოცდილი პროფესიონალებ შეადგენენ, არ დაიშურებს ძალ ხმევას საქართველოში წესრ გის დამყარებისათვის.

სახელმწიფოს მეთაურ პრესსამდივნო — საქინ ფორმი.

დაიწყო აფხაზთა მთავრობის ვიცე-პრემიერის იური ვორონოვის მკვლელობის გამოძიება; დაკავებულია ამ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ორი პირი

სოჭი, 12 სექტემბერი. (იტარ-ტას-საქინფორმი). სოხუმში დაიწყო აფხაზთა მთავრობის ვიცე-პრემიერის იური ვორონოვის მკვლელობის გარემოებათა გამოძიება, რომელიც ორშაბათ საღამოს მოხდა. „ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ ეს შეკვეთილი მკვლელობაა, რომელიც დაკავშირებულია ვიცე-პრემიერის პოლიტიკურ საქმიანობასთან", — უთხრა იტარ-ტასის კორესპონდენტს აფხაზეთის პროკურორმა ანრი ჯერგენიამ.

იური ვორონოვი მოკლეს საღამოს 21 საათისათვის სოხუმში, თავისივე ბინაში. როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტს აცნობეს, კარგად ინფორმირებულმა წყაროებმა, აფხაზთა სამართალდამცველმა ორგანოებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი ადამიანი, რომელთა ვინაობას არ ასახელებენ. მათ შესახებ ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი აფხაზეთის მცხოვრებლები არ არიან. სავარაუდოა, რომ ეჭვმიტანილნი ეროვნებით ჩეჩნები არიან.

მომხდარი ფაქტის გამოძიებაში ჩაებნენ ქალაქ სოჭის სამართალდამცველი ორგანოებიც.

საგამოძიებო ჯგუფი ამჟამა ეძებს ამ ტერორისტული აქტ ორგანიზატორებს. როგორც დღ იტარ-ტასის კორესპონდენტმა შ იტყო აფხაზური წყაროებისაგ მკვლელობა მოხდა ორშაბა საღამოს, როცა ვორონოვი შ მარტო იმყოფებოდა. კარზე და რეკს უცნობებმა, რომლებმა თავი თანამდებობის პირება წარმოადგინეს. როგორც კი იურ ვორონოვმა გამოაღო კარი, გ ისმა ავტომატის ჯერი. ხუთმ ტყვიამ სასიკვდილოდ დაცხრ ლა ვიცე-პრემიერი.

ტერორისტული აქტის გამო ძიება გრძელდება,

აქტუალური ინტერვიუ

ეროვნული პასპორტი — საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნიშანი

პასპორტი ფრანგული სიტყვაა და ვისიმე პირადობის, მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს ნიშნავს.

სახელმწიფო, რომელსაც ღირსების გრძნობა აქვს, თავის მოქალაქეს დოკუმენტურად უდასტურებს მოქალაქეობას.

ამდენად, პასპორტი მხოლოდ მოქალაქის კი არა, თვით ამ სახელმწიფოს სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი დოკუმენტია.

საქართველო იმპერიის ნაწილი იყო, მისი მცხოვრებნი იმპერიის მოქალაქენი იყვნენ და სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტით უდასტურდებოდათ ეს.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი. თუმცა სხეული დაფლეთილი აქვს და თავის იურისდიქციას მთელ ტერიტორიაზე ვერ ავრცელებს, თუმცა ეკონომიკური შეჭირვება და პოლიტიკური დესტაბილიზაცია ახრჩობს, თუმცა მის ყოველ მოქალაქეს ჯერაც არ აქვს შეგნებული მოვალეობა ქვეყნის წინაშე, იგი მაინც იმედით უყურებს მომავალს და აშენებს ამ მომავალს. ეროვნული პასპორტის დაბადებაც არის ამის ნიშანი, მცირე, უხმაურო მაგრამ არსებითი ნიშანი.

ყველა ახალ საქმეს ჭირიც ახლავს. წლეულს, 24 ივნისს, სახელმწიფოს მეთაურის თავმჯდომარეობით გამართულ საკოორდინაციო-საგანგებო კომისიის სხდომაზე, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურისა და მისი სტრუქტურული ქვეგანაყოფების შემოწმების შედეგები განიხილეს, საკმაოდ მკაცრად ითქვა არსებულ სერიოზულ დარღვევათა შესახებ (ისიც, კი, 1914 ცალი პასპორტისა და 401 გასვლის ვიზის დანაკლისი აქვთო), ერთი სიტყვით, ამ ახალ საქმესთან დაკავშირებით მრავალი კითხვა დაგროვდა. მკითხველის თხოვნით სასაუბროდ ვეწვიეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, დედაქალაქის საპასპორტო და სავიზო განყოფილების უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს თემურ ჯიბლაძეს.

— თქვენ, ალბათ, მრავალი საზღვარგარეთული პასპორტი გინახავთ, როგორ მოგწონთ მათთან შედარებით ქართული? გაკმაყოფილებთ მისი „ანატომია" და დიზაინი?

— დაბეჯითებით გეტყვით: ჩვენი არც ერთ საზღვარგარეთულს არ ჩამოუვარდება. მას მშვენიერი „გარეგნობაც" აქვს და გამძლეც არის, წყალში დასველებისაც არ ეშინია. რაც შეეხება „ანატომიას" — გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები, და ამდენად, აქაც ყველაფერი რიგზეა.

— მაგრამ მასში მითითებული არ არის პიროვნების ეროვნება, მამის სახელი, ქორწინების მდგომარეობა, რასაც ასე მიჩვეული ვიყავით აქამდე...

— ნუ დაგვავიწყდება, რომ პასპორტი მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტია საზღვარგარეთ (შინ, რესპუბლიკაში, ამისთვის პირადობის მოწმობა), იქ კი მთავარია, რომელი სახელმწიფოს მოქალაქე ხარ და არა — რა ეროვნებისა ხარ. ასევე არსად არ არის მიღებული მამის სახელისა (რუსეთის გარდა) და ქორწინების მდგომარეობის მითითება.

— ამბობენ (საჯაროდაც ითქვა), მრავალი ყალბი პასპორტია გაცემულიო. თუნდაც ასეთი ფაქტი: როცა თბილის-მოსკოვის ორი რეისის მგზავრთა 500 პასპორტიდან 21-ს ექსპერტიზა გაუკეთდა, თბილისის სავიზო განყოფილების ბეჭდით. მხოლოდ 8 აღმოჩნდა დამოწმებული, დანარჩენზე დასმული ბეჭდები ყალბი იყო ან შეცვლილი იყო მოქალაქეთა სურათები. ნუთუ ასე იოლია პასპორტის გაყალბება?

— ეგ სსრკ სიმბოლიკიან პასპორტებზე იყო თქმული. ახალ პასპორტში სურათის, გვარის ან სხვა მონაცემის შეცვლა, ანუ გაყალბება, პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ გამორიცხული არ არის პასპორტის აღება პირადობის მოწმობის ყალბი მონაცემებით. დასამალი არ არის, რომ დღესაც მოქმედებენ კარგად ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც, ალბათ, დაკავშირებული არიან როგორც სამმართველოების, ისე ჩვენს მუშაკებთან. სწორედ აქ გვჭირდება დიდი სიფრთხილე. ამ ცოტა ხნის წინათ ოპერატიული მონაცემებით შევიტყვეთ, რომ ორ თურქ მოქალაქეზე გაიცა პირადობის მოწმობები. გვარები კომპიუტერში შევიყვანეთ და მოვლენათა განვითარებას დაველოდეთ. მართლაც, ორი კვირის შემდეგ პასპორტისთვის მოვიდნენ.. მასალები პროკურატურას გადაეცა, ჩვენი დამნაშავე მუშაკები დავითხოვეთ ორგანოდან.

პასპორტის გაცემაში თავიდან მართლაც იყო ქაოსიც, დანაშაულიც. ჩვენთან, თბილისის განყოფილებაში ასეთი რამ აღარ შეიძლება მოხდეს. პასპორტს უმკაცრესი კონტროლით გავცემთ. ბეჭედს მოქალაქესთან უშუალოდ გასაუბრებისა და ხელმოწერის შემდეგ მხოლოდ ჩემი მოადგილეები ურტყამენ.

— თქვენ ბრძანეთ, სიყალბის აღმოჩენაში კომპიუტერი დაგვეხმარაო. ტექნიკურად კარგად ხართ აღჭურვილი?

— შინაგან საქმეთა მინისტრმა ბატონმა შოთა კვირაიამ უახლესი კომპიუტერები და ფაქსი შეგვიძინა. მალე კიდევ ველით, შეპირებულია. მადლობა ბატონ შოთას და თბილისის მერიას სრულ კომპიუტერიზაციაში დახმარებისთვის. მომავალში, როცა დედაქალაქის რაიონებისთვისაც შევიძენთ ტექნიკას, უშუალოდ რაიონები გასცემენ პასპორტებს, ჩვენ კი საერთო ხელმძღვანელობით დავკმაყოფილდებით.

— მერედა ასწრებთ დედაქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას?

— ვასწრებთ, თანაც ყოველგვარ უდავიდარაბოდ. დამხმარე არ გვჭირდება. მაგრამ სამწუხაროდ, საოცარი რამ ხდება: ჩვენს ფუნქციებში რატომღაც აქტიურად იჭრება რესპუბლიკური საპასპორტო და სავიზო სამმართველო. აბა, ეს ციფრები შეადარეთ: ჩვენმა განყოფილებამ დღემდე გასცა 22100 პასპორტი, მთავარმა სამმართველომ — 22198, და აქედან ნახევარი — 10081 — დედაქალაქის მცხოვრებლებზე! არ ვიცი, ვის და რატომ აძლევს ეს ხელს არადა, თითქოს მადლობელიც უნდა ვიყო ხომ, ჩემს საქმეს აკეთებენ?! მაგრამ სამადლობლად არ არის საქმე! სწორედ ასეთი პარალელიზმისა და ფუნქციათა აღრევის ბრალია ის დარღვევები, წეღან რომ ახსენეთ: თბილისის მერიის 1994 წლის დადგენილებით თბილისში ჩაწერილმა პიროვნებებმა პასპორტი მხოლოდ თბილისის საპასპორტო სამსახურში უნდა მიიღონ. ეს დაკავშირებულია დედაქალაქის მოსახლეობის აღწერასთან, ბიუჯეტთან, ვაუჩერიზაციასთან.. მერიამ წერილობით სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს, შესაბამისი ბრძანებით აეკრძალა სხვა სამსახურებისთვის თბილისში „თვითმოქმედება". მაგრამ ეს არასწორი პრაქტიკა მაინც გრძელდება, რესპუბლიკის მთავარი სამმართველო ჯიუტად განაგრძობს თავისას.

— როდისთვის უნდა დამთავრდეს მთლიანად ეროვნულ პასპორტზე გადასვლა?

— სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტები რესპუბლიკაში 1998 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედებს, რესპუბლიკის გარეთ კი საქართველოს მოქალაქეთათვის იგი მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულია. ე. ი. ჩვენს მოქალაქეს საზღვარგარეთ (მათ შორის, რა თქმა უნდა, დსთ-ს ქვეყნებშიც) მხოლოდ ეროვნული პასპორტი უნდა ჰქონდეს. ეს ყველა ქვეყანას ეცნობა. ის პირები, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ ან სახელმწიფოს მიერ არიან ხანგრძლივად მივლინებულნი, ჩვენს საკონსულოებში მიიღებენ ეროვნულ პასპორტებს (საკონსულოებიდან მიწოდებულ მონაცემებს აქ დავადასტურებთ). ეს ბევრი ძებნილისა და საეჭვო პირის გამოვლენასაც შეუწყობს ხელს. ისე, რომ, როდესაც წამსვლელებს აეროსალაროებში „კეთილ რჩევას" აძლევენ „რუსულ" პასპორტში მოქალაქეობის შტამპი ჩაარტყმევინეთ და საკმარისიაო, ნურავინ შეეცდება: არავითარ შტამპს აღარ ვურტყამთ (იყო ასეთი რამ პრაქტიკაში), უბრალოდ — ძალა აღარ აქვს.

— მსმენია, რომ ზოგან, მაგალითად, რუსეთში, ქართულ პასპორტს აღმაცერად უყურებენ...

— არანაირი პრეტენზია რუსეთიდან ან დსთ-ს რომელიმე ქვეყნიდან არ მოსულა. თუ სადმე რომელიმე სასტუმროს ისტერიკიანი ადმინისტრატორი გაკაპასდება, ეს რა ანგარიშგასაწევია.

— ბევრი ლაპარაკია ხოლმე და, ბოლოს და ბოლოს, რა ჯდება პასპორტის აღება?

— მისი ფასი 25 დოლარია. ამას ემატება დაზღვევის გადასახადი — 10 დოლარი (თუ საზღვარგარეთ ჩვენს მოქალაქეს რაიმე დაემართა, სადაზღვევო ფირმა „კრწანისი" ვალდებულია მას 5 000-მდე დოლარი გადაუხადოს) და 3 დოლარი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი თხოულობს მოქალაქის ანკეტის შესამოწმებლად: მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ ამ დამატებული 3 დოლარისა. ჩემი აზრი ორჯერ მივწერე სამინისტროს ხელმძღვანელობას, მაგრამ საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. საქმე ის გახლავთ, რომ პასპორტის ღირებულების 25 დოლარიდან 20 პროცენტი ირიცხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშზე, რათა იგი მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ საპასპორტო სამსახურს, ე. ი. საინფორმაციო ცენტრის მომსახურება მოქალაქის მიერ გადახდილ თანხაშია შესული. ამდენად, ხალხის უკმაყოფილება არც თუ უსაფუძვლოა. თუ რაიმე სხვა თანხაზეა კიდევ ლაპარაკი, მოქალაქეებს ვთხოვ მაშინვე, პირდაპირ პროკურატურას მიმართონ, ჩემთანაც ნუ მოვლენ. ისე კი, ჩვენი პასპორტის ღირებულება 4-5-ჯერ ნაკლებია სხვებთან, თუნდაც რუსეთთან, შედარებით.

— ბატონო თემურ რატომ არის ასე ცოტა პასპორტი გაცემული თბილისში: თქვენი განყოფილებისა და რესპუბლიკის სამმართველოს მიერ დღეისთვის სულ 32781? განა ეს მილიონნახევრიან ქალაქში ძალზე ცოტა არ არის? არადა ზოგი წუწუნებს, გაცემას გვიჭიანურებენო...

— თბილისში პასპორტის გაცემას ექვემდებარება 947 ათასი მოქალაქე. ჩემი აზრით, გაცემის ტემპი ნორმალურია (თუმცა ემჩნევა, რომ ეს ტემპი მოიმატებს). პასპორტის აღება ხომ ყველასათვის სავალდებულო არ არის, იგი მხოლოდ საზღვარგარეთ წამსვლელებს სჭირდებათ. დღეში 300 პასპორტის გაცემა შეგვიძლია. მოქალაქე მას მაქსიმუმ 7-10 დღეში იღებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი, ჩვენი პრეტენზიების შემდეგ, მაქსიმალურად სწრაფად გვიმოწმებს ანკეტებს. ისე რომ, გაჭიანურებაზე საყვედურს ნამდვილად არ ვიმსახურებთ,

— ფიზიკურად თუ გყოფნით პასპორტები?

— ამჟამად 10 ათასი ცალიღა გვაქვს. ეს 1,5-2 თვის სამუშაოა. ჯერ კიდევ ივლისში მივმართე რესპუბლიკურ სამმართველოს, 30 ათასი ცალი კიდევ მოეწოდებინათ. ჯერ პასუხი არ გვაღირსეს. საერთოდ არანაირ წერილსა და წინადადებაზე არ გვიპასუხებენ ხოლმე.

— რამდენადაც მახსოვს, 24 ივნისს სახელმწიფოს მეთაურის თავმჯდომარეობით გამართულ საკოორდინაციო-საგანგებო კომისიის სხდომაზე გადაწყდა ერთიანი სამთავრობო კომისიის შექმნა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელშიც დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების თავკაცებიც შევიდოდნენ. მას 15 აგვისტომდე უნდა შეემუშავებინა და მინისტრთა კაბინეტის განსახილველად შეეტანა წინადადებები სერიოზულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად და მთლიანად სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე. კონკრეტულად რა გაკეთდა?

— არაფერიც არ გაკეთდა. ეს კომისია ერთხელაც არ შეკრებილა. იმ სხდომაზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა მკაცრი კონტროლის დამყარება საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტების გაცემაზე. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, საპასპორტო საქმე უმოკლეს დროში უნდა მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ვერც ერთ საკითხში ვერც ერთ ქვეყანასთან ვერ იქნება პარტნიორიო. უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილება, დადგენილება ან განკარგულება აუცილებლად შესასრულებელი, კანონის ტოლფასი უნდა იყოს ყველასთვის. სამწუხაროდ, ეს ჯერ ყველას როდი აქვს გათავისებული.

კომისიამ არაფერი გააკეთა, სამაგიეროდ სახელმწიფოს მეთაურს არ დავიწყნია და 11 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება „ქართული პასპორტის გაცემის მიმდინარეობის შესახებ". თუ აქამდე პასპორტები გაიცემოდა მხოლოდ თბილისში, ბათუმში, ახალციხესა და მარნეულში, რაც განსაკუთრებულ სიძნელეებს ქმნიდა და მოქალაქეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა, ამიერიდან პასპორტების გაცემა მოხდება აგრეთვე ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, რუსთავში, ოზურგეთში, თელავში, გურჯაანში, ამბროლაურში, მცხეთაში, გორში, ახალქალაქში, აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის — დროებით საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, აგრეთვე — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში. ბატონ ედუარდს კარგად ესმის პასპორტიზაციის მნიშვნელობა.

— თუ თქვენი წეღანდელი ნათქვამით ვიხელმძღვანელებთ, ეს პროცესი კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლასაც შეუწყობს ხელს...

— უდავოდ. ასე მწამს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ასე მოხდეს. მე თბილისელი კაცი ვარ, სოლოლაკში დაბადებულ-გაზრდილი, მყავს შვილები, შვილიშვილები, უამრავი მეგობარ-ნაცნობი, მიყვარს ჩემი ქალაქი, ჩემი ქვეყანა და არავის ვათქმევინებ, თემურ ჯიბლაძემ ის არ გააკეთა, რაც საქართველოს და ქართველობას სჭირდებაო.

ვისაც სულ არ გაწყვეტია შუბლზე ძარღვი, 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის შემდეგ მაინც უნდა გაახილოს თვალი. გადარჩა ბატონი ედუარდი — გადარჩა საქართველო. უდიდეს უბედურებას, დაღუპვას გადარჩა. ამას ვინმეს გულის მოსაგებად არ ვამბობ — ვინც მიცნობს, იცის, რომ მლიქვნელი კაცი არ ვარ. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.. და მე აქ, ჩემს უბანზე, თავს არ დავზოგავ, რათა კრიმინალურმა სამყარომ, დამნაშავეობამ, მაფიამ ვერ იზოგინოს!

ესაუბრა

ალექსანდრე ალექსიშვილი.

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

ჩვენები



ეს ამბავი ქალაქში პირველად რევიზორმა მაკარმა გაავრცელა.

ბევრმა არ დაიჯერა, მაგრამ ისეთი რამ იყო, დაჯერება მოგინდებოდა.

ვითომ რატომ არ შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს, ყავისფერი ნინაც შეყვარებოდა ვინმეს.

ყავისფერი ნინა ჩვენი უბნელი გახლდათ.

დედამისი ქიონია, ნინაზე ფეხმძიმობისას მთელი ცხრა თვის განმავლობაში მალულად მიწას ჭამდა თურმე. გაუგეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. ექიმს უთქვა, ფეხმძიმობის ჭირვეულობაა, ნუ დაუშლით, არაფერს ავნებსო. ქიონიას მართლაც არაფერი ავნო, მაგრამ ბავშვი მიწისფერ-ყავისფერი დაიბადა. მთლად ყავისფერი კი არ იყო, უცნაური სიმუქე დაჰკრავდა და ამიტომ ნინას არავინ ეძახდა, ყავისფერი ნინაო, იტყოდნენ. თმაც შავი ჰქონდა და თვალებიც. ერთი სიტყვით, უცხო რამ სანახავი იყო, მოულოდნელად რომ შეგეფეთებოდა, გული გადაგიქანდებოდა. სამუშაოზე ყოველთვის საღამო ხანს მიდიოდა. ამინდის ბიუროში მორიგე სინოპტიკოსად მუშაობდა. ქირქილებდნენ, პროფესიაც ზედგამოჭრილი აქვს, მაგის სიშავე აბა, დღე რა გამოსაჩენიაო.

ნინა რომ ჩაივლიდა, არონი იმ დროს მაღაზიას კეტავდა. არონი ფართლეულობის მაღაზიის გამგე-ნოქარი იყო. ნინას გულგრილად არასოდეს ჩაუვლია მისი მაღაზიისათვის.

ახალი საკაბე ხომ არ მიგიღიათო, ჰკითხავდა.

კი, მივიღეთო, ვითომ სხვათაშორის მიუგებდა არონი და დაკეტილ მაღაზიას გააღებდა, ნინას წინ გაუძღვებოდა.

ისევ საუკეთესო ამოარჩია, რა გემოვნება აქვსო, აღტაცებით გაივლებდა მერე გულში.

ნინას კარგად ჩაცმა უყვარდა და არონი ამას ძალიან აფასებდა.

ერთხელ არონმა მოდების ჟურნალში ლამაზი ზანგი ქალის სურათი ნახა. ქალს თმა ჩალისფრად ჰქონდა შეღებილი და ძალიან უხდებოდა. ნეტა, ნინაც ასე შეიღებავდეს თმასო, ინატრა და თქმა რომ ვერ გაუბედა, სურათი მაღაზიის შესასვლელთან მიაკრა.

ნინა ყოველდღე უკირკიტებდა სურათს, ხან შორიდან, ხან ახლოდან. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა და ერთხელაც არონს ყვითელი თმით გამოეცხადა. ეს სენსაცია იყო. ნინა ერთბაშად დამშვენდა. მისმა უჩვეულო გარეგნობამ, რაღაც ახალი შეიძინა, სიშავე თითქოს გაფერმკრთალდა. ჩვენი უბანი ძალიან გაამხიარულა ამ ფერისცვალებამ. ჰოდა, ყავისფერ ნინას „ყავისფერი“ მოუხსნეს და, უბრალოდ, ხინა დაუძახეს.

ნინა რომ ყვითელი თმით გამოჩნდა, იმ დღეს მაკარი არონის მაღაზიას ამოწმებდა. დახლქვეშ გადამალული საქონელი აღმოაჩინა — ათამდე საკაბე, ყველა სამ-სამი მეტრი. არადა, ვაჭრობის სისტემაში არონს ყველაზე პატიოსან მუშაკად იცნობდნენ. უდაო იყო, გადამალულ საქონელს კონკრეტული ადრესატი ჰყავდა.

მაკარმა სუსხიანი ხმით გასძახა არონს, იმას კი თითქოს არც გაუგონია — ვიტრინასთან მდგარ ყვითელთმიან ნინას აღტაცებული გასცქეროდა.

მაკარი, აბა, რის რევიზორი იყო, ამდენს თუ ვერ მიხვდებოდა.

თავისი აღმოჩენით დიდად კმაყოფილი, შესვენებაზე ყავის დასალევად ჩვენს უბანში ამოვიდა და დალაქ ვანოს გაუმხილა, ნინას და არონს ერთმანეთი შეყვარებიათო!

დალაქ ვანოსთან ლამის მთელი ქალაქი იპარსებოდა და ეს ამბავი როგორ დაიმალებოდა!

ნათანი, გერშონი და ისაკი არონის ნახევარძმები იყვნენ. მათგან განსხვავებით არონს დედა ქართველი ჰყავდა. ებრაული წესით, ვინც დედით ებრაელი არ არის, ებრაელად არ ითვლება. ამიტომ ებრაელები არონს მთლად ებრაელად არ თვლიდნენ. მაგრამ ქართველებსაც აქვთ თავიანთი წესი და არც ქართველები თვლიდნენ არონს მთლად ქართველად.

ნათანს, გერშონს და ისაკს, ამის გამო, არონი ეცოდებოდათ, არც იქითაა და არც აქეთო, თუმცა, შესაცოდი რა სჭირდა, არონი ყველას უყვარდა.

კარგი ძმობა ჰქონდათ. ქალაქში დარხეულმა ჭორმა სამივე შეაშფოთა. დასხდნენ და ითათბირეს, ხელს აძლევდათ თუ არა ისრაელში წასასვლელად გამზადებულებს, რომ არონს აქაური ქალი ეთხოვა. ეს მათ პრობლემებს გაუჩენდა. თუმცა იცოდნენ ტყუილად ირჯებოდნენ, მაგრამ არონს მაინც დაუფარავად მოახსენეს თავიანთი აზრი. სხვებთან კი ზედმეტი სიტყვა არ დაცდენიათ. პირიქით, აფთიაქარ გოგუცასთან ეთქვათ, ნინა მშვენიერი, ეშხიანი ქალიაო.

ჭორაობა როგორ გამიბედესო, ამაყმა ნინამ არონის მაღაზიისკენ აღარც კი გაიხედა.

არონი კი იჯდა მოწყენილი და ნინაზე ფიქრობდა. ამბობენ, ისევ მაკარი ჩაერია, იმან ითავა ამ საქმის მოკვარახჭინებაო.

ასე იყო თუ ისე, წლის ბოლოს ნინამ და არონმა იქორწინეს.

ამასობაში ისრაელში წასული არონის ნახევარძმები საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდნენ. სოხუმში ამბავი მოვიდა, ძალიან გამდიდრებულან, არონსაც თავისთან უხმობენო.

არონმა მართლაც სამზადისი დაიჭირა, საბუთების შეგროვებას შეუდგა. სწორედ საბუთთან დაკავშირებით მოხდა ნინასა და არონს შორის ის განხეთქილება, რომელიც მალე გაყრით დამთავრდა.

მაშინდელი წესის თანახმად, პირდაპირ ამერიკაში ვერ წავიდოდნენ, ჯერ ისრაელში უნდა ჩასულიყვნენ. რაკი არონს ცოლი ქართველი ჰყავდა, საჭირო იყო მის მშობლებს წერილობითი დასტური მიეცათ შვილის გამგზავრებაზე.

არონმა სიდედრის სახელით (სიმამრი იმ დროისათვის ცოცხალი არ იყო) წერილი შეადგინა: მე, ქიონია ძაგანია თანახმა ვარ ჩემი ქალიშვილი ნინა თავის მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად ისრაელს გაემგზავროსო და ხელმოსაწერად მიართვა.

ქიონია ძაგანიამ შეიცხადა, არაფრით ხელი არ მოაწერა, რა ისრაელი, რის ამერიკა, ჩემი შვილი ჩემს ახლოს მინდაო.

ქიონია ოთხმოცს მიტანებული ქალი იყო. როგორც ამბობდნენ, არც ახალგაზრდობაში ყოფილა დიდი დამყოლი, სიბერეში ხომ სულ ჯიუტობა დასჩემდა. რასაც იტყოდა, ვერ გადაათქმევინებდი.

ვერც გადაათქმევინეს!

არონი ნინას შეევედრა, როგორმე დედაშენზე იმოქმედეო. ნინამ თავი გააქნია, არაფერი გამოვა, მაგის სიტყვა და საქმე ერთიაო. ეს თავის გაქნევა არ აპატია არონმა, გულგრილობაში ჩაუთვალა. ადგა და გაგულისებულმა ცოლი მიატოვა.

ბევრმა არ დაიჯერა ეს ამბავი, წაიჩხუბნენ და შერიგდებიან ასეთი მოყვარული ცოლ-ქმარიო.

მდგომარეობის მთელი სერიოზულობა მაშინ გაცხადდა, როცა ხმა დაირხა, არონს რუსეთიდან ჩამოსულ ლამაზ ქალთან ხედავენო, ქალი არონისგან ბავშვს ელოდებაო.

იმ დღეს, ეს რომ გაიგო, ნინამ თმა ისევ შავად გადაიღება.

ჭორი მართალი გამოდგა. არონი ამ ურთიერთობას ყოველმხრივ მალავდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაყრამდე ისრაელში წასასვლელად გამზადებული, ფეხს ითრევდა, წასვლას არ ჩქარობდა. მერე იმ ქალმა იმშობიარა და მას აქეთ მისთვის თვალი არავის მოუკრავს. ამბობდნენ, არონმა დიდი ფული მისცა და უკან, რუსეთში გაამგზავრაო.

იმ დღეს გამთენიისას ნინა ბავშვის ჩხავილმა გამოაღვიძა. ხმა ჭიშკრიდან ისმოდა. რას ხედავს: კალათში ახალშობილი ჩვილი წევს, იქვე, თავთან ფურცელი უდევს: „ელიჩკა თეთრუაშვილი, დედა — ნინა ძაგანია, მამა — არონ თეთრუაშვილი“. ელენეო კი არა, სწორედ ელიჩკა დაეწერა.

არონს ეთქვა, კაცმა უშვილო ქალი არ უნდა მიატოვოსო. არონი თავს დამნაშავედ თვლიდა.

წავიდა და ნინას ბავშვი დაუტოვა, მარტო რომ არ დარჩენილიყო.

სოხუმი აალევა ამ ამბავმა. ეგონათ, ემოციური ნინა გაღიზიანდებოდა, ქმარზე განაწყენებული ბავშვს არ მიიღებდა. ნინას კი ერთხელ დასცდა, კარგი ცოლი ქმარს ისრაელში კი არა, ჯანდაბაშიც უნდა გაჰყოლოდაო. ნინაც თავს დამნაშავედ თვლიდა.

ბავშვის გამო სიხარული იმით გამოხატა, რომ თავის თმას ისევ ჩალისფერი დაუბრუნა.

გავიდა დრო. ამერიკაში არონიც გამდიდრდა, ცოლიც შეირთო, მაგრამ ნინა და ელიჩკა ერთი წუთით არ დავიწყებია. როგორც ამბობდნენ, სისტემატურად უგზავნიდა დიდძალ ფულს. ნინამ ჩვენს უბანში კოხტა სახლი იყიდა, ელიჩკას მასწავლებლები დაუქირავა — ეს ცეკვისო, ეს მუსიკისო, ეს უცხო ენებისო (ერთდროულად ოთხ ენას ასწავლიდა), სასწავლებლად ელიჩკას ამერიკაში გაგზავნაზე ოცნებობდა.

ამერიკაში რა უნდაო, არ უწონებდნენ ამ აზრს მეზობლები, მამასთან რომ ირჩიოს დარჩენაო? ამაზე ნინა ატირდებოდა, რა მეშველება, რა მეშველებაო. მამაზე ბავშვს არასოდეს არ ელაპარაკებოდა, რაღაცის ეშინოდა.

სულ მის სწავლა-განათლებაზე იყო გაფაციცებული, უქმად წუთს არ აკარგვინებდა. გამოვიდოდა ელიჩკა ეზოში ბავშვებთან სათამაშოდ და ცოტა ხანში ნინაც მოაყოლებდა: ე-ლის!

უცნაური წესი ჰქონდა, მასწავლებლები რომ მოვიდოდნენ, ნინა მათ გარედან ჩაკეტავდა და ქალაქში, თავის საქმეზე წავიდოდა. ორი საათის შემდეგ დაბრუნდებოდა და გაათავისუფლებდა „დატყვევებულთ“. ამაზე პიანისტმა ილონამ პროტესტი გამოთქვა: მეო, უთხრა, ასეთ პირობებში ბავშვს ვერ ვამეცადინებ, ნევროზი მჭირს, ჩაკეტილ სახლზე ალერგია მაქვსო.

ნინამ არ დაიჯერა ეს ალერგია და ნევროზი.

ერთხელაც ილონას მართლა დაემართა ნევროზი — ჩაკეტილმა გრძნობა დაკარგა. ნინა რომ დაბრუნდა, ჭიშკართან სასწრაფო დახმარების და მილიციის მანქანები იდგა. დიდი გულისხეთქვა გამოიარა, უფრო ელიჩკას გამო — ხომ არ შეშინდაო.

ომი რომ დაიწყო, ელიჩკა ათი წლისა იყო. ომი დაიწყო და ყველაფერი ყირაზე დადგა, გადაბრუნდა ქვეყანა — დაბომბვის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ჩვენი უბნელები მაიმუნთსაშენის საერთო საცხოვრებელში შეასახლეს. ნინას და მის შვილს ერთი პატარა ოთახი გამოუყვეს.

რა სისულელე ქნა იმ დღეს ნინამ, ქალაქში რომ გავიდა! პურს, აბა, საიდან მოიტანდა, რომელი პურის მაღაზია იქნებოდა ღია, ქალაქი ყოველ ნახევარ საათში იბომბებოდა. მაგრამ სახლში ვერ გაჩერდა, ელიჩკა სამი დღის მშიერი ჰყავდა. წავიდა და აღარც დაბრუნებულა. მთელი კვირა ეძებეს, ვერსად იპოვეს, მერე ვიღაცამ თქვა, ენგელსის ქუჩაზე ნაგვის ბუნკერთან ქალის გვამი უნახავთ, თურმე თმით ნინას ჰგავდაო. ქალი დაბომბვაში მოყოლილიყო, სხეული დაგლეჯილი, სახე კი წაშლილი ჰქონოდა.

ელიჩკა ექიმებმა, უკრაინელმა ცოლ-ქმარმა კრავჩენკოებმა შეიფარეს. ღამეები ათია კიმ კრავჩენკომ, შოკში ჩავარდნილი ბავშვი მდგომარეობიდან რომ გამოეყვანა.

ეს ამბავი ქალაქში დარჩენილმა ებრაელებმა ამერიკაში არონს აცნობეს.

ყველანი ჩამოფრინდნენ — არონი, მისი ამერიკელი ცოლი მირიამი, ნათანი, გერშონი და ისაკი. სპეციალური თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ, რათა ელიჩკასთან ერთად ქალაქში დარჩენილი ებრაელებიც წაეყვანათ.

არონს ნაძალადევი სიმშვიდე ეტყობოდა, მირიამი კი ტიროდა, ტიროდა, კვდებოდა ტირილით.

ლამის გასაბაწრი გახდა ელიჩკა, როცა არონსა და მირიამზე უთხრეს, ამათ უნდა გაყვე ამერიკაშიო. ბავშვი კრავჩენკოებს ჩაფრენოდა და დედას უხმობდა. სასოწარკვეთილმა არონმა კრავჩენკოებს შესთავაზა, მაინც უსახლკაროდ დარჩენილხართ, იქნებ თქვენც წამოხვიდეთ ამერიკაში, ბავშვი შეჩვეული გყავთო.

კრავჩენკოებს ერთადერთი ქალიშვილი კიევში ჰყავდათ გათხოვილი, მასთან აპირებდნენ საცხოვრებლად გადასვლას და უარი უთხრეს.

წაიყვანეს ელიჩკა, ჩვენი უბნის უსაყვარლესი ბავშვი. რომ მიდიოდნენ, მირიამი ისევ ტიროდა, ტიროდა, კვდებოდა ტირილით.

ამას წინათ კრავჩენკოებს მოუწვდენიათ ხმა კიევიდან თბილისში, ყოფილ სოხუმელ მეზობლებთან, ამერიკიდან ხშირად გვირეკავენ, ნინაზე ახალი ხომ არაფერი გაგიგიათ, ჩვენები იქ ძალიან განიცდიანო.

ჩვენები — ეს ელიჩკაა, არონია, არონის ძმებია, კრავჩენკოებია... ჩვენებია ყველა, ვისაც ჩვენს ქალაქში უცხოვრია.

ხომ არაფერი გაგიგიათო.. არა, არ გაგვიგია არაფერი!

დაიკარგა ნინა და მორჩა!

მზია ბელენავა.

გაზეთ „მონდის“ აზრით

პარიზი. 8 სექტემბერი. გრძელდება რუსეთისა და თურქეთის ბრძოლა აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ნავთობსადენის მარშრუტის განსაზღვრის შესახებ, წერს „მონდი“. 1994 წელს საერთაშორისო ნავთობის კონსორციუმის შექმნის დროს გათვალისწინებული ოთხი თავდაპირველი ვარიანტიდან ორიღა დარჩა. ჩრდილოეთის გზამ უნდა გაიაროს რუსეთზე მარშრუტით „ბაქო-გროზნო-ნოვოროსიისკი“, მეორემ — საქართველოში მარშრუტით „ბაქო-თბილისი-ბათუმი“. რუსეთის მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ შეთავაზებულ გზას მუშაობის დაწყება შეუძლია დაუყოვნებლივ, თვით ჩეჩნეთის ტერიტორიაზეც.

ქართული ვარიანტი კი, რომლის ნაწილობრივი დაფინანსებისათვის მზად არის თურქეთი, ორჯერ ძვირი დაჯდება. მაგრამ არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ საბოლოო ანგარიშით ამოქმედდეს ორივე ნავთობსადენი, რადგან აზერბაიჯანში აპირებენ მოიპოვონ წელიწადში დაახლოებით 82 მილიონი ტონა ნავთობი. ამასთან ამ არასტაბილურ რეგიონში სჯობს დამოკიდებული არ იყო ერთ პარტნიორთან. რაც შეეხება აზერბაიჯანის პოზიციას, ეს რესპუბლიკა ძალიან არის დამოკიდებული რუსეთთან ვაჭრობაზე. თუ რუსულ ვარიანტს აირჩევს, ბაქო შეანელებს ამით მოსკოვის ზეგავლენას, რომელიც უკმაყოფილოა იმით, რომ აზერბაიჯანი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთადერთი რესპუბლიკაა, რომლის საზღვრებსაც არ იცავენ რუსეთის ჯარები და რომლის ტერიტორიაზეც არ არის რუსეთის სამხედრო ბაზებიც.

პოლემიკა

ავი სიტყვა...

მართლაც უჩვეულო, განსაკუთრებული იყო წლევანდელი ზაფხული ბათუმში. ნემსი არ ჩავარდებოდა ქალაქის ზღვისპირა პარკში, პლაჟებზე. ათიათასობით დიდი თუ პატარა ისვენებდა, ხარობდა აქაური სიკეთით. ასევე იყო ქობულეთში, მახინჯაურში, ციხისძირში.

ასეა ახლაც — სექტემბერში...

აჭარა, ბათუმი საქართველოს იმედია. იმედი, რომელსაც აუცილებლად გამართლება უწერია.

მით უფრო გასაკვირია ზოგიერთი ჟურნალისტის მიერ უკუღმა დანახული აქაური სინამდვილე, რაც, თუმცა უკვე იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც გამოჩნდება ხოლმე ზოგიერთი გაზეთის ფურცლებზე.

აკი მოგახსენეთ, წლეულს დიდძალი სტუმარი ჰყავს ბათუმს... ცხადია; ასეთ დროს განსაკუთრებული „დატვირთვა“ აქვს „ინტურისტის“ ცნობილ სასტუმროსა და მის წინ მდებარე ზღვისპირა პარკის ტერიტორიას. აქ ზოგჯერ ისეთი ხალხმრავლობაა, რომ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლაც ჭირს. წარმოიდგინეთ, რა ვითარება იქნება აქ განლაგებულ საზაფხულო კაფეებში, ბარებში, გასართობ ადგილებში. ახლა ჩვენი მარიფათ-ხასიათიც გავიხსენოთ: ზღვისპირა კაფეში ჩამომსხდარნი, როგორც წესი, ჯერ სიყვარულისა და ძმობის სადღეგრძელოებით ვიწყებთ, მერე კი... ბოთლებს ვამტვრევთ ერთმანეთს თავზე. არ იფიქროთ ვიგონებდე ან ვამუქებდე რამეს.

სიმშვიდესა და წესრიგს, ისევე როგორც სტუმარს, აქ თვალისჩინივით უფრთხილდება თითოეული ბათუმელი, ქალაქის მერია და, რასაკვირველია, პოლიცია. ასე რომ, აქ ჩამოსული სტუმრების განსაკუთრებით, — ახალგაზრდობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ზაფხულში მთელი საზოგადოებრიობის უპირველესი საზრუნავი ხდება.

კოლეგას გაზეთ „მიმომხილველიდან“ კი რატომღაც არ მოსწონებია ბათუმელთა ასეთი „თავგამოდება“, განსაკუთრებით პოლიციის სადღესამისო საქმიანობა. გასაკვირია!

ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსი თემურ ინაიშვილი:

— მიმდინარე წლის საზაფხულო სეზონის დაწყებიდან დღემდე ბათუმში, განსაკუთრებით მისი ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე, არ მომხდარა არც ერთი სისხლის სამართლის დანაშაული. იცით კი, — ეკითხება ბატონი თემური კოლეგებს „მიმომხილველიდან“, სხვა გაზეთებიდან, — რა შრომა, რამდენი გატეხილი ღამეა ამ სიტყვების მიღმა?

მე რომ მკითხოთ, ცამდე მართალია ბათუმის პოლიციის შეფი. საქმეს დამნახავი სჭირდება. დაინახა და შეაფასა კიდეც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ, როცა ბათუმში გამართულ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა თათბირზე განაცხადა: — ბათუმის პოლიციის საქმიანობას სამაგალითოდ წავიღებთო დედაქალაქში.

პირდაპირ გეტყვით: ზაფხულის პერიოდში ბათუმის პოლიციის განყოფილებებში სიმთვრალისა და სხვადასხვა წვრილმანი დარღვევისათვის მართლაც მოხვდა 65 მოქალაქე, რომლებსაც ნამდვილად უპატრონეს. — ნეტავი იმ დღეს მოგვასწრო, როცა თბილისშიც ამგვარად იზრუნებენ ჩვენს უსაფრთხოებაზეო — ასე ამბობს ყველა.

— ზოგჯერ მაკვირვებთ, ხალხო! ნუთუ არ იცით, რომ ყურით მოთრეული „ორიგინალურობა“ ან „სარკასტული თავისუფლება“ ჟურნალისტიკაში ყველაზე იოლი გამოსავალია მათთვის, ვისაც სურს იოლად დაიმკვიდროს თავი ამ ასპარეზზე?

აბა, ვინ დაგიჯერებთ, რომ ღამის პირველ საათზე ბათუმში ყველაფერი „კვდება“, რადგან აქ „მყუდროების დარღვევა სასტიკად აკრძალულია“, მაშინ როცა ღამის 3-4 საათზე შეგიძლიათ თავისუფლად მიბრძანდეთ და გაჩირაღდნებულ ჯიხურებში ნებისმიერი საქონელი შეიძინოთ.

ჩემი მეგობრის — ვახუშტი კოტეტიშვილის სიტყვებიც გამახსენდა, აქაურ პოლიციელებს რომ უთხრა: — თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ძლივს არ ვიგრძენი, რომ პატრონი მყოლია და ვიღაც ნამდვილად მიცავსო.

ჩანს, კაცსაც გააჩნია და თვალსაც!

სწორედ თვალთან, ხედვასთან დაკავშირებით გამახსენდა გაზეთ „7 დღის“ 7 სექტემბრის ნომერში ზ. წულაძის პუბლიკაცია ბათუმში გამართული უეფას ტურნირის მატჩების შესახებ.

თითქოს რა შეიძლება ითქვას აქ ისეთი, რაც არ თქმულა, არ მოგვისმენია. განვლილ ერთ თვეში ბათუმელებმა და მათმა ხელმძღვანელებმაც ხომ მართლაც საარაკო საქმე გააკეთეს და დიდებული სტადიონი შესძინეს საქართველოს. ეს ყველამ აღნიშნა. ერთადერთი, „7 დღის“ კორესპონდენტი ჩვენი კოლეგაა, რომელიც ამ მოვლენას მაინც და მაინც თავისი „ორიგინალური“ სარკმლიდან „გვისურათხატებს“. მისთვის ეს ბატალიები მხოლოდ საბაბია იმისათვის, რომ სარკასტულად წარმოგვიდგინოს ადამიანი, რომელმაც სულ რაღაც ერთ თვეში ასეთ დიდ ეროვნულ საქმეს დაადგა თავი. ჟურნალისტური თავისუფლება, ყველაფრისაგან თავისუფლებას როდი ნიშნავს. გნებავთ, ეხლავე ავწონოთ? ერთ მხარეს დავდოთ რეალობა და სინამდვილე, ის, რაც ამ ფაქტთან დაკავშირებით აღინიშნა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ნოდარ ახალკაცმა, როცა საქართველოს ფეხბურთის სპეციალისტებისა და გულშემატკივართა სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადა ბატონ ასლან აბაშიძეს, ხოლო მეორე მხარეს — თქვენი ჟურნალისტური სარკაზმი — ფრთაგაშლილი არწივის კლანჭებში მოქცეული წრე ასლან აბაშიძის პორტრეტით, ბარეთვე მისი ე. წ. „ოქროს ქისა“, რომლითაც, ჩვენი თქმით, თურმე სხვ „იხეირა“ ბათუმის ოპერამ, თეატრმა, ჩოგბურთის კორტებმა, რუსულმა ფესტივალმა და სხვა. ახლა კი ფეხბურთმაც უნდა „იხეიროს“. გეთქვათ, თქვე კაი ხალხო, და ხუთ ამდენს კიდევ ჩამოგითვლიდით!

რატომ არ ამბობთ სინამდვილეს — ვისი „ოქროს ქისა“ აშენებდა სტადიონს? ეს ხომ მთელი ქალაქის, თითოეული ბათუმელის საკუთარი მშენებლობა იყო და სწორედ ამიტომაც მოხდა ის სასწაული, რაც უნდა მომხდარიყო.

მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ, ბატონებო, კარგსა და საჩინოს თავისი სახელი დაარქვით, თორემ ცუდსა და ბოროტს რომ გადაეყრებით და ნამდვილად იკვლებთ, იმას აღარავინ დაგიჯერებთ!

გია ჭელიძე,
„სრ“ აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი.

ეს ჩვენი ისტორიაა

ალეკო ასლანიშვილი

და კრონოსი ჭამდა საკუთარ შვილებს

მოვიფიქრებთ და რამდენიმე დღეში გადაწყვეტილებას გაცნობებთო, უპასუხეს.

ორმა უძილო ღამემ გაიარა ფიქრსა და განსჯაში.

ამჟამად წარმომადგენლობაში ისინი ნოე რამიშვილმა მიიღო. თანხმობა უთხრეს...

ათიოდე დღის შემდეგ ხელახლა გამოიძახეს და აცნობეს, თქვენს გარდა ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი და ვასო ნოდია მიდიანო. არ ეჭაშნიკა ეს ცნობა ვიქტორს, ავმა წინათგრძნობამ გაუკაწრა გული. ძალზე სარისკო იყო ჯუღელისა და ჩხიკვიშვილის შეგზავნა. მათ საქართველოში კარგად იცნობდნენ (ვ. ჯუღელი ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი იყო, ბ. ჩხიკვიშვილი — თბილისის მერი) და გაუჭირდებოდათ თავის შეფარება, ხოლო თუ ჩეკა მოიხელთებდა, სასტიკი სასჯელი არ ასცდებოდათ, საქმეც წააგებდა და მათ კვალდაკვალ ბევრი სხვაც ჩავარდებოდა. არ დაუმალავს, პირდაპირ განაცხადა ეს, მაგრამ შეგზავნის გეგმა გადაწყვეტილი იყო და აღარ შეცვალეს. წინდაწინვე ვიტყვი: მართლაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვიქტორმა იწინასწარმეტყველა.

მეორე დღეს ნოე ჟორდანია მოინახულეს, რომელიც ქალაქგარეთ ცხოვრობდა. ჟორდანია შეშფოთებული იყო, 48 ყოფილი მენშევიკის ხელმოწერილი რეზოლუცია მიიღო, რამაც დაარწმუნა, რომ პარტიის ხრწნა მიმდინარეობს, ეს იმდენად ბოლშევიკური ხელისუფლების სასტიკი დამოკიდებულებით კი არა, რაღაც სხვა მიზეზებით არის გამოწვეული, რადგან ხელმომწერთა შორის ისეთი პიროვნებებიც არიან, რომლებსაც ვერაფრით შეაშინებ, მაგალითად, სეით დევდარიანის მსგავსნიო. (ს. დევდარიანის წერილიც მიღებული ჰქონდა. მენშევიკური პარტიის ცკ-ის თავმჯდომარე ს. დევდარიანი, რომელსაც ეს პოსტი 1921 წლის მაისიდან ეკავა, 1923 წლის 18 ნოემბერს დააპატიმრა ჩეკამ). ვიქტორსა და გრიგოლს სთხოვა, საქართველოში თქვენ — ძველმა მუშებმა — საქმიანობა ისე წარმართეთ, რომ პარტია არანორმალური მდგომარეობიდან გამოვიდეს, სწორ გზას დაადგესო.

— რა აზრისა ხართ აქტიური გამოსვლების შესახებ? — ჰკითხა ვიქტორმა.

ეს კითხვა დიდი ხანია აწვალებდა. მას, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ვეტერანს, ღრმად სწამდა, რომ მომავალი აჯანყება, რომელიც ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენას ისახავდა მიზნად, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაგრძელება იყო, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ ანგარიში არ ეწეოდა ობიექტურ სინამდვილეს, ჯეროვნად არ იყო გააზრებული იმჟამინდელი საერთაშორისო ვითარების სიღრმისეული ტენდენციები (შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა მისი ეჭვები: სათანადოდ მოუმზადებელი შეიარაღებული გამოსვლა, როგორც პროფესორი აკაკი სურგულაძე წერს 1990 წელს დასტამბულ საგაზეთო სტატიაში, ვერ გასცდა პოლიტიკური რომანტიზმის ფარგლებს).

— ახლა რაიმე გარკვეული არ შემიძლია გითხრათ. ეს ტაქტიკის საქმეა, ვაპირებ უახლოეს ხანში დავწერო წერილი ან ბროშურა პარტიული ტაქტიკის შესახებ. თქვენ მას იქ, ადგილზე გაეცნობით!

უფრო ზუსტ და გამოკვეთილ პასუხს ელოდა, უფრო კონკრეტულს და შეჭრებულს. გულდამძიმებული გამოვიდა ჟორდანიას კაბინეტიდან.

სამი-ოთხი დღის შემდეგ ვიქტორი და გრიგოლი კაკი წერეთელს შეხვდნენ. როცა უთხრეს, სამშობლოში ვბრუნდებითო, კაკიმ სიამოვნება ვერ დამალა და მაგრად ჩამოართვა მათ ხელი: —

— კარგია, სწორედ მუშები რომ მიდიხართ პარტიული მუშაობის გასააქტიურებლად. თქვენ ბევრი შეგიძლიათ, თქვენ გენდობიან. კეთილი გზით გევლოთ!

ვ. ცენტერაძე, გ. ცინცაძე, გ. ჯუღელი და ბ. ჩხიკვიშვილი სტამბოლისკენ მარსელიდან გემით გამოემგზავრნენ. დოკუმენტები პარიზშივე მიიღეს, ბენიამ მათ 1000-1000 ფრანკიც დაურიგა.

მარტის დასაწყისში ჩავიდნენ სტამბოლს.

სხვადასხვა ადგილზე დაბინავდნენ. ვიქტორი ცოლისძმასთან ვასო გორდელაძესთან გაჩერდა, რომელსაც იქ ბუკინისტური მაღაზია ჰქონდა.

ვ. ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი და ვ. ნოდია (იგი უფრო ადრე იყო ჩასული) ერთი კვირის შემდეგ ხოფაში წავიდნენ. ვიქტორი და გრიგოლი კი აპრილის ბოლომდე დარჩნენ სტამბოლში, შემდეგ ისინიც იმავე გზას დაადგნენ. ხოფაში მცხოვრებმა იოსებ ცინცაძემ მათ ვინმე ლაზი გააცნო, რომელმაც ისინი ჭოროხის ხიდთან ახლოს საზღვარზე გადმოაპარა და ბათუმში ჩაიყვანა.

ეს 1924 წლის 1 მაისს იყო.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით გრიგოლ ცინცაძე ქუთაისში წავიდა, ვიქტორი კი ბათუმში დარჩა სამუშაოდ. მას თბილისში გამგზავრება, ოჯახთან ახლოს ყოფნა სურდა, სთხოვა კიდეც ეს ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ მაინც ადგილზე დარჩენა გადაუწყვიტეს, იქ უფრო სჭირდებოდა საქმეს.

ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის წევრი გახდა. დაიწყო არალეგალური მუშაობის საშიში და მღელვარე დღეები. ღამეს რუსთაველის ქ. № 3-ში, თავისი ნათესავის ალათი გორდელაძის ბინაში ათევდა (26 წლის მკერავი ქალი ა. გორდელაძე 1924 წლის აგვისტოს მიწურულს დახვრიტეს როგორც „ავანტიურისტული შეთქმულების მონაწილე“).

მაგრამ საგანგებო კომისიის ყველგანმწვდომი თვალი ფხიზლად უთვალთვალებდა შეთქმულთა ყოველ ნაბიჯს. დააპატიმრეს დამოუკიდებლობის კომიტეტის, პარიტეტული კომიტეტისა და სამხედრო კომისიის მოთავენი. ეს უკვე ნიშნავდა, რომ აჯანყება განწირული იყო.

სერგო ბერია წიგნში „მამაჩემი ლავრენტი ბერია“ ამის შესახებ წერს: „1924 წელს მამაჩემმა, მაშინ საქართველოს ჩეკას უფროსის მოადგილემ, კარგა ხნით ადრე შეიტყო, რომ მენშევიკური აჯანყება მზადდებოდა... დაზვერვამ უტყუარად იცოდა: შემუშავებულია აჯანყების ერთიანი გეგმა, — ყალიბდება რაზმები, იქმნება არსენალები, გამოსვლები იფეთქებს მთელს რესპუბლიკაში. მამა ხედებოდა, რომ ეს ავანტიურა თავიდანვე იყო განწირული დამარცხებისთვის, მრავალი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა. ენერგიული ზომები იყო საჭირო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. მაშინ მან ასეთი წინადადება წამოაყენა — დაეშვათ მიღებული ინფორმაციის გაჟონვა, მენშევიკთა ხელმძღვანელებს უტყუარი წყაროებით უნდა შეეტყოთ, რომ საქართველოს ჩეკას სრული ინფორმაცია აქვს მომავალ აჯანყებაზე და, ამდენად, წარმატების იმედი ამაოა. ორჯონიკიძე, რომელმაც ამაზე, ალბათ, მოსკოვის თანხმობა მიიღო, წინააღმდეგი არ იყო: იმ რთულ ვითარებაში ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება გახლდათ. მაგრამ მენშევიკებმა არ დაიჯერეს, ეს ინფორმაცია პროვოკაციად ჩათვალეს. როგორც ჩანს, გადაძალა საფრანგეთისა და ინგლისის წაქეზებამ, თქვენ დაიწყეთ, ჩვენ მხარს დაგიჭერთო“.

პარიტეტული კომიტეტის წევრმა ვ. ჯუღელმა, რომელიც უფრო ადრე ჩაუვარდა ხელთ ჩეკას, თანამზრახველებს ციხიდან წერილი მისწერა, ხელი აიღეთ შეიარაღებულ გამოსვლებზეო. მაგრამ ამ რჩევას არ დაუჯერეს. პარიტეტული კომიტეტის 1924 წლის 22 აგვისტოს შეკრებაზე აჯანყების დღედ 28 აგვისტო დაინიშნა.

საგანგებო კომისიას არც ეს გამოპარვია მხედველობიდან. 27 აგვისტოს დაშიფრული დეპეშით ყველა მაზრის ხელმძღვანელი ორგანო გააფრთხილეს. დაიწყო ეჭვმიტანილთა მასობრივი დაპატიმრება, მაზრებსა და მსხვილ ქალაქებში მოქმედებდა „სამეულები“. რესპუბლიკური „სამეულის“ შემადგენლობაში იყვნენ საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივანი მ. კახიანი და საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ბერია.

აჭარაში აჯანყების სალიკვიდაციოდ წინდაწინ გაიგზავნა 600-კაციანი რაზმი, დააპატიმრეს ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის შტაბი — ვიქტორ ცენტერაძე, მიხა საბაშვილი, ვასო ჩიტაიშვილი, გენერალი ყარალაშვილი, გენერალ-მაიორი ფურცელაძე, ვლადიმერ ახვლედიანი და სხვ.

ერთი სიტყვით, ყველა ქალაქის, მაზრის ბოლშევიკური აქტივი ფეხზე დადგა და ენერგიული ზომები განახორციელა მოსალოდნელი გამოსვლების ძირშივე აღსაკვეთად. ამის მიუხედავად, აჯანყება მაინც დაიწყო და ზოგ მაზრაში მასობრივი ხასიათიც მიიღო, განსაკუთრებით შორაპანში, სენაკში, ზუგდიდში, გორში, ოზურგეთში, სვანეთში, გარეკახეთში.

სექტემბრის პირველ რიცხვებშივე აშკარა გახდა, რომ აჯანყება დამარცხდა. ქართულ და რუსულ პრესაში იმ დღეებში გამოქვეყნდა დამოუკიდებლობის კომიტეტის განცხადება, შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პერსპექტივას მოკლებულია, ქართველი ერისთვის დამღუპველი იქნებაო და ყველა პარტიასა და შეიარაღებულ რაზმს მოუწოდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ბრძოლა.

ვიქტორ ცენტერაძე ციხეში.
სუკ-ის არქივიდან.

ოფიციალური ცნობით აჯანყებაში დაიღუპა 980 კაცი. ნოე ჟორდანია 5000 კაცს ასახელებს. ეს ციფრი უდავოდ უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. აჯანყების ჩახშობა „კლასობრივი მოდელით“ განხორციელდა, ოჯახები, რომლებიც მაშინ ამოწყვიტეს, ინტელიგენციის ნაღებს წარმოადგენდა. რეპრესიები ხორციელდებოდა თვითნებურად, წინასწარი ძიებისა და სასამართლო პროცესების გარეშე, რესპუბლიკის საგანგებო ორგანოების პირად შეხედულებათა მიხედვით.

აქვე ერთიც არის სათქმელი: ეს აჯანყება, გარკვეულწილად, თვით იმდროინდელი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ინიციატივით იყო ინსპირირებული, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინათ ანგარიში „კლასობრივი მტრებისთვის“. ს. ორჯონიკიძე ამ პროვოცირებას „დაჟანგული ლულების გაწმენდას“ უწოდებდა და სულაც არ ანაღვლებდა, რომ მას ქართველი ინტელიგენციის მასობრივი ჟლეტა მოჰყვა.

• • •

ვიქტორ ცენტერაძე 1924 წლის 18 აგვისტოს დააპატიმრეს ბათუმში.

საქმე № 84 (საარქივო ნომერი К 23075-61).

მე, აჭარის საგანგებო კომისიის საიდუმლო-ეკონომიკური განყოფილების რწმუნებულის თანაშემწემ მიჯმა განვიხილე რა წინასწარი მასალები მოქალაქე ვიქტორ ცენტერაძის კონტრრევოლუციონერობაში ბრალდებისა გამო, რაც გამოიხატება მენშევიკური პარტიის წევრობასა და მასში აქტიურ მუშაობაში, დავადგინე:

მოქ. ცენტერაძე მიეცეს პასუხისგებაში, წარედგინოს ბრალდება საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით, მოქ. ცენტერაძე აყვანილ იქნეს პატიმრობაში აჭარის საგანგებო კომისიის კომენდატურაში.

მიჯის წინადადებას ეთანხმება განყოფილების რწმუნებული ჟუკოვი, ამტკიცებს აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კილაძე.

დაპატიმრებულს აღმოაჩნდა 1924 წ. 1 თებერვალს ბათუმის პირველი მაისის რაიონის მილიციის მიერ იესე (ოსიკო) ყაისარის ძე ნიკოლაიშვილის სახელზე გაცემული ყალბი პირადობის მოწმობა.

დეპეშა. თბილისიდან: გადაეცეს ქავთარაძეს, საქ. ჩეკაში გაძლიერებული ბადრაგით ჩამოიყვანეთ პატიმარი ვიქტორ ცენტერაძე. 1924 წლის 21 აგვისტო. საქჩეკას თავმჯდომარე კვანტალიანი.

სუკ-ის არქივში დაცული თხელი საქაღალდიდან არ ჩანს როგორ წარიმართა მისი საქმის ძიება. მაგრამ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ვ. ცენტერაძის შეხედულებას მოვლენათა მსვლელობაზე.

საქაღალდეში ორი წერილია ჩაკერებული. პირველი — „ღია წერილი მენშევიკურ ცეკას“, თაბახის ერთ ფურცელზე ფანქრით დაწერილი, 21 აგვისტოთია დათარიღებული, მეორე — თაბახის 2,5 გვერდზე მელნით დაწერილი „წერილი ამხანაგებს“, პირველის ვრცელი ვარიანტია. აი, ისიც:

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 101-104, 106-108, 110-112, 114-116, 119.

ჩოგანი

მეტრეველს ძლიერიშვილი თუ დაიჭერს მხოლოდ!

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს ჩვეულებრივი შეკრება ჰქონდა მორიგი მატჩის წინ მოსკოვის „ტორპედოსთან“ თავის საწვრთნელ ბაზაზე დიღომში. უჩვეულო იყო მხოლოდ ერთი რამ: ფეხბურთელებს ესტუმრა რესპუბლიკის მაშინდელი პირველი პირი, ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. საუბრის ბოლოს, [illegible] სხვათა შორის, იკითხა: „აი, მეტრეველს ვინ დაიჭერს ხვალ?!“. ამ სიტყვებზე რატომღაც ჩვენი გუნდის მარცხენა მცველს გივი ხოჭოლავას შეხედა რამდენიმეჯერ.

— ვინ დაიჭერს და... ძლიერიშვილი, მეტრეველის დამჭერი სხვა არავინ მეგულება, — არ დააყოვნა გივი ხოჭოლავამ.

კაცმა რომ თქვას, ამ რეპლიკაში არაფერი იყო გადაჭარბებული. ახალგაზრდა ფეხბურთელი სლავა მეტრეველი იმხანად (1956 წელი იდგა) უკვე ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდი გახლდათ ჩვენს ფეხბურთში. ამაოდ ცდილობდნენ მეტოქეთა მცველები ფეხმარდი, ტექნიკური, საზრიანი გარემარბის შეჩერებას — სლავა მოუხელთებელი იყო, ამასთან, თავის თამაშს „აკეთებდა“ მწვანე მინდორზე და ბურთებიც ბლომად გაჰქონდა. დინამოელთა მცველის ზემოხსენებულ ხუმრობაზე მაშინ, გარდა პირველი პირისა, ყველას გაეცინა (გენერალი ალექსანდრე ძლიერიშვილი იმხანად თბილისის მილიციის უფროსი იყო).

...სოჭის ბავშვთა გუნდში აღზრდილმა სლავა მეტრეველმა დიდი საფეხბურთო კარიერა ჩრდილოეთში გააგრძელა — 1955 წელს 19 წლის ჭაბუკი გორკის „ტორპედოში“ წაიყვანეს. მისი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩა საფეხბურთო სელექციონერებს დიდი გუნდებიდან და სლავა მეტრეველიც მომდევნო წლის სეზონში მოსკოვის „ტორპედოში“ მიიწვიეს.

მოსვენება დაკარგეს ქართველმა გულშემატკივრებმა — დიდებული ქართველი ფეხბურთელი სლავა მეტრეველი სხვათა გუნდში თამაშობს, ჩვენ კი...

ერთი სიტყვით, რამდენჯერმე მიუჩინეს „კაცი“ ავტოქარხნელთა მარჯვენა გარემარბს, ვინ არ ჩააკითხა მოსკოვში ბინაზე. მაგრამ სლავა არ ჩქარობდა განშორებას დიდებულ პარტნიორებთან — ედუარდ სტრელცოვთან, ვალენტინ ივანოვთან, ვალერი ვორონინთან... 7 წლიწადი დაჰყო სლავამ „ტორპედოში“ — ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც, მაგრამ, ეტყობა ქართულმა სისხლმა მაინც თავისი გაიტანა — 1963 წელს თბილისის „დინამოში“ გადმოვიდა და უკვე მომდევნო სეზონში თავის ყოფილ თანაგუნდელებს ბრწყინვალე გოლი გაუტანა შორეულ ტაშკენტში გამართულ „ოქროს მატჩში“, რითაც წერტილი დაუსვა იმ დაუვიწყარ პაექრობას „ფახთაქორის“ პირთამდე სავსე სტადიონზე.

მრავალი მატჩი ჩაატარა სლავა მეტრეველმა კლუბებსა თუ ნაკრებში. რვაჯერ შეიყვანეს 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, (შვიდჯერ პირველ ნომრად), მონაწილეობდა ჩილესა და ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატებში, იყო ევროპის თასის მფლობელი 1960 წელს, გამოდიოდა ფიფა-ს ნაკრების შემადგენლობაში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ 1968 წლის ცნობილ მატჩში „მარაკანაზე“...

სპორტის დამსახურებული ოსტატი სლავა მეტრეველი ფეხბურთის გულშემატკივრებს უყვარდათ მაღალტექნიკური, საზრიანი, რაინდული, ვიტყოდი, „ჯემრიელი“ თამაშისათვის. აკი მსოფლიოს იდეალურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

ცნობილი ესპანელი მწვრთნელი ელენიო ერერა სხვა გამოჩენილ ფეხბურთელთა შორის განსაკუთრებით გამოჰყოფდა „ქართულ ფინტებს“ — მესხსა და მეტრეველს.

— მეტრეველს ძალუძს იოლად დაჯაბნოს ნებისმიერი დაცვა. ვფიქრობ, არ არსებობს ძალა, რომელიც აღუდგება წინ მეტოქეთა კარისკენ გაჭრილ სლავას, — წერს თავის წიგნში „დიდი ფეხბურთის ვარსკვლავები“ ფეხბურთის აღიარებული სპეციალისტი ნიკოლაი სტაროსტინი.

...ბარე სამი ათეული ფოტოსურათი მიდევს წინ. აგერ იგი — მთლად გაოფლილი — ტაშკენტის მომქანცველი მატჩის შემდეგ ეროვნულ უზბეკურ ქუდში რომ გადაუღია ფოტორეპორტიორს; აგერ სლავა „დინამოს“ ძველ სტადიონზე; აი სახელგანთქმულ თანაგუნდელებთან — შოთა იამანიძესთან, მურთაზ ხურცილავასთან, მიხეილ მესხთან, ვლადიმერ ბარქაიასთან და სხვებთან ერთად; ეს კი სსრკ ნაკრებია, რომელშიც 11-დან, არც მეტი, არც ნაკლები, 6 ქართველი ფეხბურთელია — ანზორ კავაზაშვილი, კახი ასათიანი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ნოდია და სლავა მეტრეველი.

ოთარ ნოზაძე.

ეჰეე!

ისმინე, კევის მღეჭველო!

კევი — ქართველთა უბა-სახის ეს მუდმივი მამოძრავებელი ძალა, კომერსანტთა თარო-დახლების მშვენება და შემოსავლის წყარო თურმე არც ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში. აი, რას წერს ჟურნალი „ეუროფიენ ფაილი“.

„მოლდოვას ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ რესპუბლიკაში რეალიზებული დიდი რაოდენობის კევი შეიცავს მთელ რიგ ტოქსიკურ ნივთიერებებს. ჯანდაცვის სამინისტრომ და ეპიდემიოლოგიურმა ცენტრმა აკრძალა კევით (ტურბო, ანნა, მოტორშოუ, ლავიზ, დელი-დოლუ, დინოზავრი, სავაშ, სამერი, სანაფერი) ვაჭრობა. მთავრობის დადგენილებით უცხოელმა მეწარმეებმა, რომელთაც რესპუბლიკაში პროდუქციის რეალიზაციის სურვილი აქვთ, უნდა წარმოადგინონ, როგორც თავიანთი ქვეყნიდან, აგრეთვე მოლდოვას ეპიდემიოლოგიური ცენტრიდან პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი“.

კარგი იქნება, თუ ჩვენი რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო და ეპიდემიოლოგიური სამსახური დაინტერესდებიან ამ საკითხით, შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებენ და კევის მომხმარებელს სასარგებლო ინფორმაციას მოაწვდიან.

თამარ სალუქვაძე.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის აკად. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი

გიწვევთ სასწავლებლად შემდეგ სპეციალობებზე:

1. ისტორია; 2. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 3. საერთაშორისო ეკონომიკური; 4. საერთაშორისო ჟურნალისტიკა; 5. ფსიქოლოგია (სამედიცინო ფსიქოლოგია); 6. უცხოური ენებისა და საგარეო უწყებათა მომსახურება (დიპლომატიური); 7. ხელოვნებათმცოდნეობა.

ინსტიტუტში პროფესიულ ცოდნას გაზიარებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების საუკეთესო სპეციალისტები.

ინსტიტუტი სამეურნეო ანგარიშზეა.

სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია ყველა აბიტურიენტისათვის.

მიღება წარმოებს გასაუბრების წესით.

ცნობებისათვის მიმართეთ: **ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. № 19. ტელეფონი: 95-47-25 (მე-4 საშუალო სკოლის შენობაში), საბუთები მიიღება 15 ოქტომბრამდე, ყოველდღე, 11-დან 5 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.**

მინა და სარკე

● **3, 4, 5 მმ-იანი**, სხვადასხვა ფერის:

● საკონტრაქტო და საბითუმო მიწოდება 40 პროცენტის ფასდაკლებით. მინიმალური პარტია 500 კვ. მ.

● მოსახლეობის მომსახურება.

მისამართი: ქ. წამებულის 94 (რესტორან „ალაზანთან“); პ. ქავთარაძის 1/4 (ყოფ. პავლოვის ქუჩის ბოლოში). ტელ.: 74-68-68.

საკერავი მანქანების მაღაზია მოსახლეობისაგან შეისყიდის ჩაიკა „132“, „142“, „143“ ტიპის საკერავ მანქანებს.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას, № 38, ტელ: 89-49-80; 98-51-24.

გვესაჭიროება ფერადი ტელევიზორი 51 სმ. დიაგონალით.

98-91-84, ნოდარი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებული სამთავრობო ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის, დედაქალაქის საქმიან წრეებს, ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, მეცნიერებს და ფართო საზოგადოებრიობას გთავაზობთ მიიღოთ ინფორმაცია აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ, კერძოდ კი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის აგვისტოს თვეში გამართულ სხდომებზე მიღებულ მთელ რიგ ნორმატიულ დოკუმენტებზე, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში საწარმოო და სამეურნეო მარაგების ღირებულების ინდექსაციის“, „საქართველოს რესპუბლიკაში საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის ლიბერალიზაციის“; „საქართველოს რესპუბლიკაში საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის რადიკალური გარდაქმნის ღონისძიებათა“, „საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირებისა და ლიცენზირების“, „ქ. თბილისის აეროპორტში მგზავრთა მომსახურების, საბაჟო, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის განხორციელებისა და საავიაციო უსაფრთხოების დროებითი წესების შესახებ“ და მრავალი სხვა.

თუ გსურთ, გაეცნოთ აღნიშნულ დადგენილებებს, შეგიძლიათ მიაკითხოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკას **ილია ჭავჭავაძის გამზირი, № 24, ტელ. 22-37-05.**

პირველად საქართველოში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური აკადემია

აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. საერთაშორისო ურთიერთობები;

2. საერთაშორისო სამართალი (საერთაშორისო საჯარო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი);

3. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (საერთაშორისო ფინანსები და კრედიტი, საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირება);

4. უცხო ენები (სპეც. თარჯიმნები, სინქრონული თარჯიმნები);

სწავლა ფასიანია. მიიღებიან **უმაღლესი განათლების** მქონე პირები, **35 წლის ასაკამდე.**

მიღებული განათლების შესაბამისად **სწავლის ხანგრძლივობაა 2 და 3 წელი.**

მისამართი: თბილისი, ჩიტაძის 4.

ტელეფონი: 98-94-25; 98-29-19; 98-83-07.

შ.პ.ს. „მამისონი“

აწარმოებს „გედეონ რიხტერი“-ს (უნგრეთი) მედიკამენტების რეალიზაციას შემდეგი ფასებით:

1. კავინტონი № 50 — 18.500 რუბლი
2. ოქსიტოცინი ამპ. № 5 — 4.800 „—“
3. ტურინალი № 20 — 9.600 „—“
4. პანანგინი ამპ. № 5 — 9.500 „—“
5. რეოპირინი ამპ. № 5 — 14.500 „—“
6. რეოპირინი დრაჟე № 20 — 6.500 „—“
7. ნორკოლუტი № 20 — 4.300 „—“
8. დეკარისი № 2 — 2.600 „—“
9. ბუტადიონის მალამო 20 გრ. -- 3.000 „—“
10. ერთჯერადი შპრიცები 5 გრ — 450 „—“
(პოლონეთი)

ანგარიშსწორება კუპონებში, რუსულ რუბლებში, აშშ დოლარებში.

ყველა მედიკამენტზე გაიცემა ქარხნის სერთიფიკატის ქსეროასლი და ზედდებული.

ფირმა მუშაობს ყოველდღე, 10-დან 18 საათამდე, ტელ: 95-96-97.

მისამართი: არნოლდ ჩიქობავას ქ. № 15. (ყოფილი საბჭოს).

თხოვნა

ჩემი ერთადერთი შვილი, 12 წლის თამარ იობაია დაავადებულია ცერებრალური დამბლით, ფსიქომეტყველო აპარატის განვითარების შეფერხებით, აღრიცხვაზეა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. წელს იანვარში ჩემი დანაზოგით მოვახერხე წამეყვანა გოგონა სამკურნალოდ ჩინეთში, სადაც მკურნალობის კურსმა კარგი შედეგი გამოიღო.

ჩინეთის ჯანმრთელობის სამინისტრომ გამომიგზავნა მიწვევა კურსის გასამეორებლად, მაგრამ წასვლის საშუალებაც არ გამაჩნია. ბავშვს ვზრდი მარტო. საჭიროა მკურნალობის სასწრაფო გაგრძელება, რათა მიღწეული შედეგი წყალში არ ჩაიყაროს.

გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობის ფარგლებში დამეხმაროთ.

პატივისცემით მ. იმნაძე.

საქართველოს ბავშვთა ფონდი, საქართველოს ბანკი, სავალუტო ანგარიშის ნომერი 001070892, კოდი 521017, თამარ იობაია.

კუპონის 000700516.

სახაზინო 0130070275.

მისამართი: ქ. თბილისი, ზარზმის ქ. № 19, ვენერა ალექსანდრეს ასული, იმნაძე. ტელეფონი (მეზობლის): 62-14-49.

ამინდი

13 სექტემბერს

თბილისი +28-30;
ბათუმი: +27-29,
ხობი: +26-28,
ქუთაისი: +27-29,
სამტრედია: +27-29,
ბორი: +22-25,
ბორჯომი: +18-20,
თელავი: +27-30,
ზუგდიდი: +27-30,
საგარეჯო: +23-25.

ხელშეუხებლობისა და პატივისცემის მიუხედავად

პროკურორის სანქცია

ახლახან, 8 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ საქართველოს პარლამენტის წევრ მერაბ ურიდიას, აგრეთვე მოქალაქეების დავით ნიშნიანიძის, ოთარ დემეტრაძისა და გურამ კამლაძის დაპატიმრების სანქცია გასცა.

„მერაბ ურიდიამ უკანონოდ შეიძინა და გადაზიდა ნარკოტიკული საშუალება გასაღების მიზნის გარეშე. მან 1995 წლის 5 სექტემბერს ო. დემეტრაძესთან, გ. კამლაძესა და დ. ნიშნიანიძესთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ახალქალაქის რაიონში, სხვადასხვა პირებისგან შეიძინა 2,8 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი ხაშხაშის ნედლი მცენარეები, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს 1417 გრამი კოკნარი და 54,7 გრამი ოპიუმი“, — ნათქვამია სანქციის ტექსტში.

ო. დემეტრაძემ, გ. კამლაძემ და დ. ნიშნიანიძემ აღიარეს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის III ნაწილით ჩადენილი დანაშაული, მ. ურიდიამ კი არა. იგი დაჟინებით უარყოფს თავის თანამონაწილეობას აღნიშნულ საქმეში.

პარლამენტის წევრი, ახალგაზრდა, ნიჭიერი პოლიტიკოსი მერაბ ურიდია ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ავტორიტეტული პარტიის — გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის, ასევე, ერთ-ერთი გავლენიანი და ავტორიტეტული წევრია.

ხმა დაირხა: ურიდიას დაპატიმრებით რესპუბლიკური პარტიის დისკრედიტაცია სურთო.

რესპუბლიკელებს აწუხებთ მეგობრისა და კოლეგის ბედი. მათ პარტიის იმიჯიც აწუხებთ. ერთი არ გამორიცხავს მეორეს, ადამიანური და სამსახურებრივი ურთიერთობებიც ყოველთვის სხვადასხვა არ არის. მაგრამ პარტიის რომელიმე წევრის თუნდაც სამარცხვინო ქმედობა პრინციპულად პარტიას სახელს ვერ გაუტეხს.

ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა და გადაზიდვა, თუნდაც გასაღების მიზნის გარეშე, დანაშაულია, სასჯელსაც უმკაცრესს ითვალისწინებს. ასეთ დანაშაულში პარლამენტარის თანამონაწილეობის დასასაბუთებლად გამოძიებას შეუვალი, ასპროცენტიანი მტკიცებულება ესაჭიროება.

აქვს გამოძიებას ასეთი მტკიცებულება?

„ხაშხაშის შეძენაში დახმარება მთხოვეს“...

საგზაო პოლიციის თანამშრომლები ჩვეულებრივ პატივს სცემენ პარლამენტარებს, თუ შემთხვევით გააჩერეს; მაშინვე დიდი ბოდიშის მოხდით აცილებენ. ამიტომ, ბუნებრივია, დამაეჭვა ასეთი ცნობილი პიროვნების დაკავებამ, ურიდიას დეპუტატის მანდატის ჩვენებაც არ უნდა დასჭირვებოდა, მას ისეც ყველა იცნობდა.

მაშინ, რა მოხდა?

ახალქალაქის რაიონის სოფელ იხტილას უბნის ინსპექტორის ომარ აჩელაშვილის ჩვენებიდან: „5 სექტემბერს, დილის 11-12 საათზე ჩემთან მოვიდა სოფელ ბარალეთში მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქე და შემატყობინა, რომ, დაახლოებით, ნახევარი საათის წინ სოფელ კოთელიაზე, ცენტრალური გზის გვერდის ავლით, ასპინძის მიმართულებით გავიდა ავტომანქანა „ვაზ“-2106, სახელმწიფო ნომრით ხ 1706 გგ, რომელშიც საეჭვო პირები სხედან. ამ დილით, ეს მანქანა სოფელ იხტილაში ენახა და ამ პირებმა ხაშხაშის შეძენაში დახმარება მთხოვესო“.

უბნის ინსპექტორი სასწრაფოდ წასულა ასპინძის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, საგზაო პოლიციის სოფელ რუსთავის საგუშაგოზე დაურეკავს და ზემოთ ხსენებული ავტომანქანის დაკავება მოუთხოვია.

ხელშეუხებლობისა და პატივისცემის მიუხედავად

რამდენიმე ხანში, საგზაო პოლიციის თანამშრომელმა მაიორმა ზურაბ მურადელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მესხეთ-ჯავახეთის სამხარეო-რეგიონული სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ვ. მანაგაძეს მოახსენა: 14 საათზე, ასპინძიდან შეგვატყობინეს, რომ ახალციხის მიმართულებით საეჭვო მანქანა მოდიოდა. გავაჩერეთ. ერთ-ერთმა მგზავრმა გვაჩვენა საბუთი, პარლამენტის წევრი ვართო, გვითხრა და არ მოგვცა ავტომანქანის გაჩხრეკის საშუალება.

მანქანა ურიდიასი არ იყო. ვინმე არც თავად ურიდიას გაჩხრეკას აპირებდა. ამდენად, დეპუტატის ხელშეუხებლობის სტატუსი ამჯერად არავის დაურღვევია.

როგორც ხედავთ, ამ მოქმედებით მ. ურიდიამ პოლიციელებს გაუძლიერა ეჭვი.

მანქანა თავისი მგზავრებიანად და ბარგიანად ახალციხეში წაიყვანეს, სადაც ავტომობილის სალონში, უკანა სავარძლის ქვეშ, თავდაპირველი ინფორმაციით, 3,340 კილოგრამი ნედლი ყაყაჩოს „კოკრები“ აღმოჩნდა.

საიდან მოხვდა ყაყაჩოები მანქანაში?

მესხეთ-ჯავახეთის მხარის პროკურორის, იუსტიციის უფროსი მრჩეველის ბ. საძაგლიშვილის სახელზე დაწერილ ახსნა-განმარტებაში მ. ურიდიამ აღნიშნა: „4 სექტემბერს, ქუთაისში ყოფნისას, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ახალგაზრდების ჯგუფი საქონლისა და ცხვრის ტყავის შესაძენად სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქში მიემგზავრებოდა. მე მაინტერესებდა იქ არსებული პოლიტიკური სიტუაცია, ხალხის წინასაარჩევნო განწყობილება, ამიტომ გადავწყვიტე მათთან ერთად გამგზავრება; ზესტაფონში გავუარეთ ვინმე გურამს, რომელიც კარგად იცნობს ახალქალაქს. საიდან მოხვდა ეს მცენარეები ავტომობილში, არ ვიცით (ისიც თქვა, მთელი ამ მოგზაურობის დროს, ავტომანქანაში მეძინაო. თუკი ხალხის წინასაარჩევნო განწყობილების შესასწავლად მიდიოდა, რატომ არ შეისწავლა?! თუკი მისი ამგვარი მოღვაწეობა ხელს არ აძლევდა მავანს, რაღა უკანა გზაზე დააკავეს?!).

ერთად უნდა ვებრძოლოთ

5 სექტემბერსვე გენერალურმა პროკურორმა სპეციალური წერილით საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს აცნობა მომხდარი დანაშაულის შესახებ და სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის III ნაწილით აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

გენერალურმა პროკურორმა წინასწარი გამოძიების წარმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს დაავალა.

დაჟეჟილს გატეხილი სჯობია

მერაბ ურიდიამ კვლავ პირველი ჩვენება დაადასტურა, დანარჩენებმა კი შემდეგი აღიარეს:

დ. ნიშნიანიძე: „4 სექტემბერს, 11 საათზე ჩემთან მოვიდნენ ოთარ დემეტრაძე და მერაბ ურიდია (ამ უკანასკნელის [illegible] ტელევიზიით მქონდა გაგებული). ოთარმა მითხრა: მე და მერაბი მოლაპარაკებული ვართ — მამაშენის მანქანით, ახალქალაქში უნდა წავიდეთ ნარკოტიკების შესაძენადო. პარლამენტის წევრი გვახლავს და დაუბრკოლებლად ვივლითო;

...ახალქალაქის ერთ-ერთ სოფელში მივედით 55-60 წლის ქალთან. მან მოიტანა გამჭვირვალე ცელოფნის პარკით ყაყაჩოს კოკრები“.

შემდეგ მეორე სოფელში წავიდნენ...

ერთგან ხაშხაში ერთ ტომარა პურის ფქვილად იყიდეს. ცოტათი წაიხემსეს, პური გატეხეს და...

სამი წელია, ვხმარობ ნარკოტიკებსო, აღიარა დემეტრაძემ.

ტუბერკულოზით ვარ დაავადებული და ხაშხაშს სამკურნალოდ ვიყენებო, თქვა კამლაძემ.

ერთ-ერთის მეუღლემ ზედმიწევნით აღწერა ოთხეულის ახალქალაქში გამგზავრების სცენა. ისიც დაადასტურა, ქმარი რომ ადრე ნარკომანი იყო და ისიც, რომ მათი სტუმარი იმ დღეს მერაბ ურიდია გახლდათ.

წყლის ორი წვეთივით იდენტური შემოწმების აქტები

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიური ინსტიტუტის ექსპერტიზის განყოფილება. შემოწმების აქტები. ისინი ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს.

„ოთარ დემეტრაძე შემოწმებისას ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა. საჭიროებს სტაციონარულ გამოკვლევას. ლაბორატორიულად დადასტურდა ნარკოტიკების მიღების ფაქტი“.

„მერაბ ურიდია შემოწმებისას ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა. ლაბორატორიულად დადასტურდა ნარკოტიკების მიღების ფაქტი. საჭიროებს სტაციონარულ გამოკვლევას“.

საპარლამენტო მუშაობისას გადავიღალე და ნაცნობმა ექიმმა ნემსი გამიკეთაო. მაგრამ რამდენჯერ და რამდენ ადგილას? — „მარჯვენა წინამხარზე, სხივის ვენის ქვედა მესამედში აღენიშნება ნაწიბურები. აქვე, ვენაზე აღენიშნება 4 ახალი ინექციის შემდგომი კვალი, ორი ნაწიბური სისხლის სერიოზული გამოჟონვით. მარცხენა იდაყვის ფოსოში, ვენის პროსპექტზე აღინიშნება... მარცხენა წინამხრის ქვედა მესამედში, ვენის პროსპექტზე... მარჯვენა ქვედა კიდურის წვივის შუა მესამედში, ვენის პროსპექტზე... მარჯვენა კოჭ-წვივის ვენაზე“... და ასე შემდეგ. პოპულარულად რომ ვთქვათ, ეს ურიდიას სხეულის ის ადგილებია, რაზეც მას ნანემსრები ჰქონდა.

ერთი ტომარა ფქვილის „მყიდველი“

მალე იმ პირებსაც მიაკვლიეს, ვისგანაც ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარეები შეიძინეს. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: ხაშხაში თავისით ამოვიდა, ეზოს ალამაზებდა და არ „დავბოლე“. დილით ოთხი ახალგაზრდა მოვიდა. მითხრეს, ექიმები ვართ და წამალი უნდა დავამზადოთო.

ხაშხაში ქვრივ ქალს ერთი ტომარა პურის ფქვილი მისცეს. მათვე ქალს ხაშხაშისგან წამლის დამზადების წესიც ასწავლეს: სოდიან წყალში გახსენი, დალიე და ტკივილი გაგიყუჩდებაო.

ქალებმა ზედმიწევნით ზუსტად აღწერეს ახალგაზრდების გარეგნობა და ჩაცმულობა.

ნარკომანების მიერ ახალქალაქში ჩატანილ ერთ ტომარა ფქვილს პოლიციამ სარდაფში მიაგნო და თბილისში წამოიღო.

პროლოგი ეპილოგის მაგიერ

დასასრულ, დაკავებულთა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს მოგაწვდით.

დავით ნიშნიანიძე, 28 წლის, ქუთაისელი, უმაღლესი განათლებით, ცოლშვილიანი;

ოთარ დემეტრაძე, 23 წლის, ქუთაისელი, მუშა, 4 თვის წინათ მძიმე დაავადება — „ბოტკინი“ გადაუტანია;

გურამ კამლაძე დაიბადა ზესტაფონში, ფილტვების დაავადების გამო ახლა აბასთუმანში ცხოვრობს, 36 წლისაა, უმაღლესი განათლებით, ექიმი, უცოლო, ნარკოტიკული საშუალებების შენახვისათვის ადრე ნასამართლევია;

მერაბ ურიდია, საქართველოს პარლამენტის წევრი, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი...

დაკავებულ პირებს წარედგინათ ბრალდება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის III ნაწილით.

ზაურ მაქარაძე.

ხსოვნა

ილია ინჯია

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, **ილია გიორგის ძე ინჯია.**

დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ ნალეფსაოში. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მოახმარა — იგი 50 წლის მანძილზე მოღვაწეობდა მარტვილის რაიონში პედაგოგად, აქედან, 40 წელი იმუშავა მშობლიური სოფლის სკოლის დირექტორად, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

წავიდა ჩვენგან ბატონი ილია — დიდებული პიროვნება, ნამდვილი მოქალაქე და მამულიშვილი, მეოჯახე და მეგობარი, რომელმაც საუკეთესო ადამიანური და საქმიანი თვისებების წყალობით დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული დატოვა ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ამხანაგების ჯგუფი.

მეუღლე ტატიანა სილაგაძე, შვილები ფრიდონი, დავითი, შვილიშვილები ილია, ლიკა, ხათუნა, ჯაბა, რძლები ქეთევანი, ნაირ ცოლისდა თათუშა, ცოლისძმა ალექსანდრე, რძალი ლამარა, სი სამოელ მიქაია, ძმისშვილები ცისანა, დემური, მზია, სოსო, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილია გიორგის ძე ინჯია

პანაშვიდი 12, 13 სექტემბერს, დაკრძალვა 14 სექტემბერს, 16 სთ., მარტვილის რაიონი, სოფელი ნალეფსაო.

სააქციონერო საზოგადოება „ეგრისი“ თანაგრძნობას უცხადებს კავშირგაბმულობის მინისტრს ბატონ ფრიდონ ინჯიას მამის

ილია ინჯიას

გარდაცვალების გამო.

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის კომპანია „საქართველოს ტელეკომი“ თანაგრძნობას უცხადებს კავშირგაბმულობის მინისტრს, ბატონ ფრიდონ ინჯიას მამის

ილია ინჯიას

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

როსტომ მძინარიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი, საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ ჰიდროპროექტის ენგურის კომპლექსური საძიებო ექსპედიციის ყოფილი უფროსი როსტომ მძინარიშვილი.

როსტომ მძინარიშვილი დაიბადა 1915 წელს. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო იმავე წელს საქნავთობის სისტემაში.

1954 წლიდან მუშაობს ინსტიტუტ ჰიდროპროექტში, სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 1956 წლიდან ინიშნება ენგურის კომპლექსური საძიებო ექსპედიციის უფროსად, სადაც მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე, 1981 წლამდე.

მან ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტებთან ერთად დიდი შრომა გასწია ენგურჰესის მშენებლობის პროექტირების კვლევასა და დასაბუთებაში.

დიდია მისი ღვაწლი ენგურჰესის მშენებლობის პერიოდში უნიკალური ნაგებობების მდგრადობისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის დიდი მოცულობის საკვლევ-საძიებო და სამეცნიერო სამუშაოების განხორციელებაში.

როსტომ მძინარიშვილის ხელმძღვანელობით არის განხორციელებული მდ. ენგურის და მდ. კოდორის ენერგეტიკული რესურსების ათვისების გენერალური გეგმის საძიებო-კვლევითი სამუშაოები.

როსტომ მძინარიშვილმა აღზარდა მრავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც დღეს წარმატებით მუშაობენ დარგის პერსპექტიული ობიექტების კვლევასა და ძიებაში.

იგი დამსახურებულად სარგებლობდა რესპუბლიკის და ყოფილი სსრკ ენერგეტიკოსთა შორის ავტორიტეტითა და პატივისცემით.

დარგში უმწიკვლო, ნაყოფიერი და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები და მინიჭებული — რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგის წოდება.

როსტომ მძინარიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი ჰიდროპროექტი; ენგურჰესის მშენებლობის სამმართველო; დეპარტამენტი საქენერგო.

სვეტლანა კაკაბაძე-ცხომარია

ბედი, თავისთავად, უკუღმართი არასოდეს ყოფილა, მაგრამ, ბედს, ალტერნატივად ყოველთვის გააჩნდა უბედობა... საბედნიეროდ, ქალბატონი სვეტლანა კაკაბაძე უბედობას არ უჩიოდა — ბრწყინვალე მეუღლე და შვილები, სიყვარულისა და მეგობრობის ზეიმი, ამ ახალგაზრდა, 48 წლის ქალბატონის თანამდევი იყო მუდამ, თუმცა, რომელ ზეიმზე შეიძლება ბჭობა, როცა, დევნილის სტატუსი უფრორე თანამდევი იყო მისთვის, ვინემ, ნებისმიერი სხვა ტიტული, რომელიც ქალბატონ სვეტას, როგორც პროფესიონალს და სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ კი, ჩაის მრეწველობის უბადლო სპეციალისტს, მშობლიურ აფხაზეთში გააჩნდა. იმ ჟამს, ჭეშმარიტად გაუსაძლის მდგომარეობაში, მას ბოლო წამებამდე არ დაუტოვებია სოხუმი და, ბოლოს, სულ ბოლოს, დალის ხეობიდან რის ვაი-ვაგლახით, ნაწამებ-ნამარტვილებმა, თავის ქმარშვილთან ერთად, დედათბილისს შეაფარა თავი...

ვერ იგუა ქალბატონმა სვეტლანამ, მისმა სათნო სულმა, უკვე ახალგაზრდულ ასაკში ერთობ დაკოდილმა გულმა, საერთოქართული ტრაგედია.

ასეთ ადამიანებზე არ ეგების მიწიერთა სავედრებელი ღაღადისი უფალთან, უკეთუ, ქალბატონი სვეტლანა კაკაბაძე უფლის რჩეული გახლდათ.

ნათესავები, მეგობრები, ახლობლები.

გულიკო მდინარაძე-ხულორდავა

ჩვენს სანათესაოს და სამეგობროს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, კარგი მეუღლე, მეოჯახე, შვილების აღმზრდელი, მხატვარი **გულიკო მდინარაძე-ხულორდავა.**

იგი დაიბადა 1946 წელს. კარგა ხანს მუშაობდა თავისი პროფესიის მიხედვით. ქალბატონი გულიკო იყო არაჩვეულებრივად კეთილი, სანდო, გულისხმიერი, მომხიბვლელი პიროვნება. ყველას გული გვწყდება, რომ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე წავიდა ამ ქვეყნიდან, დაგვიტოვა დამწუხრებული ოჯახი და სამეგობრო. ჩვენ მუდამ გვეხსომება ქალბატონი გულიკოს ნათელი სახე და კეთილი გული.

მეგობრები.

მორიგე რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

გამომცემელი - შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484, ტელ.: 9[illegible]-73-24. მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.